ყოველკვირეული საკროსვორდო შემეცნებითი გაზეთი გამოდის 1996 წლიდან

# ფანტაზია

№21(263) 16-29 აგვისტო, 2002 წ პარასკევის გამოშვება ფასი 40 თეთრი






ძაღლი იმდენად ერთგულია, რომ ეჭვი გიჩნდება - ნუთუ ღირსია ადამიანი ასეთი სიყვარულისა?!

## პირველი გუნდური საკროსვორდო ტურნირი ჩატარდა

იხილეთ მეორე გვერდი

## ჰოლივუდის ვარსკვლავი და მონაკოს პრინცესა

რუბრიკაში – „მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი (გვ.16–17)

## ენციკლოპედიური წიაღსვლები ტრანს-სექსუალიზმში ანუ

როგორ გადაიქცა ქართველი მხატვარი ქალი კაცად (?!)

## ექსპერიმენტული სკანდინავიური წიაღსვლა ანუ ორი კროსვორდი ერთ ბადეში

1. რა იყო სსრკ თავისი არსით? 2. დიახ,ძაღლი სწორედ ეს არის! 3. (......) მორიკონე,თანამედროვე იტალიელი კომპოზიტორი. 4. ფანტაზიის არარეალური კოლეგა. 5. ძაღლების შემსწავლელი მეცნიერება. 6. გრაციოზულობა ანუ რა? 7. სადაური ძაღლია ბულდოგი? 8. მტაცებელი ფრინველი. 9. ამ სახელით მაიმუნს ვიცნობთ, მაგრამ ჩვენ ძაღლსაც დავარქვით. 10. აღმოსავლეთის უძველესი ბინადარი. 11. იმერეთის მხარე. 12. ქალაქი შოტლანდიაში. 13. სანდრო!!!- უნგრულად. 14. ერთგვარი ცხიმი. 15. ერთდროს პოპულარული ხელოვნური ქსოვილი. 16. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. 17. ბევრი გასაჭირის ერთად თავმოყრა ანუ რა? 18. რა ჯიშისაა ბასკერვილების ძაღლი? 19. ძაღლის მოსაფერებელი სახელი. 20. (ერთხელაც წიგნში ჩაიხედეთ) ძაღლებისა და მელიების ინვაზიური დაავადება. 21. ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი პორტი. 22. საქართველოს კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი. 23. ტროპიკების ბინადართა საშენი მასალა. 24. საკუთარ გარეგნობას გადაყოლილი ანუ როგორი? 25. ანჟელიკას საყვარელი მამაკაცი. 26. სხვაზე ზრუნვა ანუ რა? 27. უნგრეთის ტბა. 28. უჯრედის შემსწავლელი მეცნიერება. 29. XVII-XVIII საუკუნეების რუსი მწერალი და ისტორიკოსი. 30. ოპტიკური დანიშნულების მინა. 31. უძლური მამაკაცი - ზოგადად. 32. ძაღლის ინგლისური ჯიში. 33. ყველაზე საბრალო რუსი ძაღლი. 34. იმედი - სხვაგვარად. 35. რიცხვი ასეთიც შეიძლება იყოს. 36. რაიმე ზედაპირზე გარკვეული თანამიმდევრობით გავლებული ხაზების სისტემა. 37. ფეთქებადი და სისხლძარღვების გამაფართოებელი ნივთიერება. 38. წარწერა ისტორიულ ძეგლზე. 39. საკვლევსაცდელი დაწესებულება. 40. ცისკრის ფრინველი. 41. ძველი ინგლისური ფული. 42. უშნო და მოუხერხებელი ანუ? 43. წამიერება ანუ რა? 44. ყველაზე ცნობილი ქამუშაძე. 45. სახის უკანა ნაწილი. 46. ზარბაზანას პატრონი. 47. ილიას ლექსი. 48. კრიშნას წინ სათქმელი. 49. ტობაგოს ფუნქციონალური კოლეგა. 50. სოფიკო ჭიაურელი „წუთისოფელში“.

## დღევანდელი ნომრის მთავარი გმირები















# პირველი საკროსვორდო გუნდური ტურნირი მდინარე კავთურას ნაპირებზე

### 10 აგვისტო. საქართველოს უმშვენიერესი რაიონი – კასპი

...ჩვენ დიდი ხანია გვაწუხებდა იდეა, სუფთა ჰაერზე კროსვორდების შევსების შესახებ (იხილეთ „ფანტაზიის“ სამაისო მოწოდებები, № 11.253.) და, როგორც იქნა, შევძელით ამ განზრახვის ასრულება, რასაც, პირველ რიგში, ბატონმა ტარიელ გასიტაშვილმა (ჩვენმა ტარიელმა!) შეუწყო ხელი.

იდეამ მართლაც გაამართლა თავისი ცხოველმყოფელობა და თუ ახლა ნაკლები ემოციურობით შევეცდებით განვლილი ღონისძიების პერიპეტიების აღწერას ამის ბრალი ისაა, რომ ჯერაც არ გამოვფხიზლებულვართ (ამ სიტყვის პირდაპირი და ირიბი გაგებით) მიღებული შთაბეჭდილებებიდან და არ გვსურს ნაჩქარევი შეფასება მივცეთ კავთურას პირას გამართულ საკროსვორდო შეხლა-შემოხლას.

დრო შეაფასებს ყველაფერს! ამჯერად მხოლოდ მოვლენებს მივყვეთ.

### გუნდების შემადგენლობები რეგიონული პრინციპით განისაზღვრა




მასპინძელთა გუნდი, **ქართლის** ნაკრები თავიდანვე ფავორიტად ითვლებოდა, რადგან მასში გაერთიანდნენ „ფანტაზიის“ საგაზაფხულო ტურნირის ჩემპიონი (ტარიელ გასიტაშვილი, კასპი), საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ინტელექტუალურ თამაშებში (მანანა მაისურაძე, ზნაური) და ქალთა ტურნირის ჩემპიონი (ელეონორა ფურცელაძე, ქარელი).

ქართლის ტუნდი ფავორიტად ითვლებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ამ მხარის მკვიდრთა შესახებ ერთადერთი ანეკდოტი არსებობს და ისიც კროსვორდთანაა დაკავშირებული (თუ არ იცით, მოაყოლეთ ვინმეს).




**თბილისის** გუნდის შემადგენლობა „ფანტაზიის“ რედაქტორის (*იხილეთ ფოტო ზემოთ, მარცხნივ*) სურვილით განისაზღვრა და მასში ჩვენი საკროსვორდო ტურნირების სულ პირველი ჩემპიონები: იური გაბრიელიძე, მარინე ხაჩირაშვილი და ლიანა კუსრაძე შევიდნენ. ამ გუნდში მოხვედრის სურვილი სხვა თბილისელ მეკროსვორდეებსაც ჰქონდათ, მაგრამ „ფანტაზიის რედაქტორმა (*იხილეთ ფოტო ზემოთ, მარცხნივ*) ისინი იმით დაამშვიდა, რომ 1966 წელს მიხეილ მესხიც კი ვერ მოხვდა სსრკ ნაკრებში (ო!) და აღუთქვა მათ, რომ შემდეგში აუცილებლად ჩაუსხამდა „აუზში წყალს“ (...თუ არც ეს ანეკდოტი იცით, მოაყოლეთ ვინმეს).




იმის გამო, რომ **დასავლეთ საქართველოს** მკითხველები, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ვერ ახერხებენ ჩვენს ტურნირებში მონაწილეობას, ჩვენი ქვეყნის დასავლეთი რეგიონების ყველა წარმომადგენელი ერთად შევკრიბეთ და ისე შევთავაზეთ ტურნირში მონაწილეობა. მასში გაერთიანდნენ ლილე აქუბარდია, ლალი ჭიჭინაძე და გია წერეთელი. ბატონ გიორგი ვეკუას ამგვარ ტურნირებში თამაში დროებით „აეკრძალა“ მეტისმეტი სიძლიერისა გამო („პირველი მერცხლის“ იასონის მსგავსად, რომელსაც მარჯვენა ფეხით დარტყმას უკრძალავდნენ. თუ არ გინახავთ ეს ფილმი, მოაყოლეთ ვინმეს.)

**კახეთის** გუნდი მთლიანად სიღნაღის რაიონის წარმომადგენლებით დაკომპლექტდა, რადგან სამივე მათგანი (ქალბატონი ქეთინო გიგანი და ბატონები: ზაზა ჩეკურიშვილი და ზურა სესიტაშვილი) ჩვენი ტურნირების ძველი და წარმატებული მონაწილენი არიან. იმედი გვაქვს, რომ მომავალში სხვა რაიონების წარმომადგენლებიც გამოგვიგზავნიან გუნდებს.




(თუ ბატონი ზურას სახე ამ სურათზე კარგად არ ჩანს, იხილეთ ზედა მარჯვენა ფოტო, სადაც იგი დამატებითი მატჩის წინ ჰიპნოზის სეანსს უტარებს ლილე აქუბარდიას).

ძალზედ სასიხარულოა, რომ ჩვენს კოლექტივში ერთი კარგი მარკშეიდერიც გვყავს (მის ვინაობას ჯერ არ ვამხელთ), რომელმაც წინასწარ შეისწავლა მდინარე კავთურას ფერდობზე განლაგებული საკროსვორდო „დარბაზი“ და ყოველი ბზარის გაანალიზების შემდეგ ტურნირის დაწყების უფლება მოგვცა და თავადვე იკისრა მატჩების ოქმების შევსება.

* * *



**ქქქ** (კროს-კაზინო კავთურასთან)

ტურნირი ასე წარიმართა:

პირველ ნახევარფინალურ მატჩში ქართლის გუნდს თბილისელ „ფანტაზიელთა“ გუნდი დაუპირისპირდა.

**მესამე დაფა**. ფურცელაძე - ხაჩირაშვილი.

დიდი წინააღმდეგობისა მიუხედავად, ქალბატონმა ელეონორამა მაინც შეძლო მარინე ხაჩირაშვილის დამარცხება, თუმცა იყო მომენტი, როცა ქართლის გუნდს საფრანგეთის ნაკრების მსგავსი ფიასკო ელოდა.

1:0 ქართლის სასარგებლოდ!

**მეორე დაფა**. მაისურაძე - კუსრაძე.

ეს იყო მეტად პრინციპული და დრამატული მატჩი,სადაც ფავორიტობას ლიანა კუსრაძე იჩემებდა, თავისი უზარმაზარი გამოცდილების გამო, და ამ ფაქტორმა მაინც შეასრულა თავისი გადამწყვეტი როლი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მატჩის წამყვანმა (ფოტო, ზემოთ, მარცხნივ) მეტისმეტად ჩახლართა სიტუაცია, როცა დუტასთან გამარჯვებულ „ფანტაზიელს“ ამოსაცნობად საკუთარი მასწავლებლის შვილის სახელი შესთავაზა (გაგიგონია?!). თამაშს გაპროტესტებით ჩაშლა ელოდა, მაგრამ „კოლინამ“ შეძლო სადავეების ხელში აღებაც და საკუთარი თავის გადარჩენაც კავთურაში გადაძახებისაგან.

ქართლი - თბილისი 1:1

**პირველი დაფა**. გასიტაშვილი - გაბრიელიძე.

...როგორც შემდგომ გაირკვა, ბატონი ტარიელი (*იხილეთ ფოტო ქვემოთ, მარჯვნივ*) საგანგებოდ ემზადებოდა ამ ტურნირისათვის და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა, თუმცა ძირითად მატჩში ფრე აღინიშნა 14:14 და, როგორც წესებით იყო განსაზღვრული, დამატებითი პარტია გუნდების პირველ ნომრებს შორის დაინიშნა, სადაც ბატონმა ტარიელმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.



ჰიპნოზის სეანსი

ქართლი - თბილისი - 2:1

* * *

მეორე ნახევარფინალურ მატჩში სიღნაღის გუნდი დასავლეთ საქართველოს დაუპირისპირდა.

**მესამე დაფა**. წერეთელი - ჩეკურიშვილი.

ეს იყო ყველაზე სტაბილური ორთაბრძოლა, სადაც მოწინააღმდეგეებმა მონაცვლეობით ამოიცნეს 15-15 კითხვა და მატჩიც ფრედ დამთავრდა.

დასავლეთი - კახეთი - 0,5:0,5

**მეორე დაფა**. ჭიჭინაძე - გიგანი.

ორი მშვენიერი ქალბატონის პაექრობა ერთმა ქულამ გადაწყვიტა, როცა ქალბატონმა ლალიმ შეძლო მოწინააღმდეგი მიერ ჩაგდებული კითხვის ამოცნობა და გაიმარჯვა კიდეც.

დასავლეთი - კახეთი - 1,5:0,5

**პირველი დაფა**. აქუბარდია - სესიტაშვილი.

ამ მატჩს (ბრაზილია-გერმანიის მსგავსად) მთელი „ფანტაზია“ ელოდა და, როგორც იქნა, აღსრულდა! ეს იყო ფანტასტიური ჭიდილი ორი განსხვავებული ინტელექტისა, ცოდნისა და ტუხტუხისა... ძირითად მატჩში ბატონმა ზურამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა (...ბოროტი ენები ამბობენ, „გარეშე ძალა“ იყოო ჩარეული ამაში, რის დასტურიც ის წინასამატჩო ვითარება იყო, რაც ზედა მარჯვენა ფოტოზეა ასახული).

ამრიგად დასავლეთისა და კახეთის გუნდებს შორისაც დაფიქსირდა ფრე და დაინიშნა დამატებითი მატჩი, სადაც ქალბატონმა ლილემ შეძლო ყველა „გარეშე ძალის“ მოთოკვა და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

* * *

მატჩების მეტისმეტად გახანგრლივების გამო, გადაწყდა ფინალში ქართლისა და დასავლეთის გუნდების მამაკაცები შეხვედროდნენ ერთმანეთს, სადაც, მართალია, ბატონმა ტარიელმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა,მაგრამ ყველა დარწმუნდა იმაში, რომ ბატონი გია კიდევ ბევრჯერ იტყვის თავის სიტყვას.

* * *

ტურნირის ბოლოს კასპის რაიონის ხელმძღვანელობამ გამარჯვებულებსა და მონაწილეებს სპეციალური პრიზები გადასცა.



დასასრულს გაიმართა ბანკეტი.

* * *

ჩვენ ამ თემას კვლავაც არაერთხელ მივუბრუნდებით, დღეს კი უზარმაზარი მადლობა გვსურს ვუთხრათ ჩვენს მასპინძლებს, შესანიშნავ პიროვნებებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რათა ეს ახალი ხილი, რასაც კროსვორდის სპორტულ ფენომენად ქცევა ჰქვია, ყველასათვის მოსაწონი და მისაღები გახდეს.

კასპელებო! თქვენ გენაცვალოთ „ფანტაზია“!

ღმერთმა თქვენნაირი კარგი ხალხი არ მოუშალოს საქართველოს!

იცით, როგორ გაგვახარეთ? - მაგრად!

*პატივისცემით ალ.ელერდაშვილი*

**თარაზულად**:

1. ინგლისური ლუდხანა 3. ბასკერვილების ძაღლად წოდებული ცხოველის პატრონის გამოგონილი გვარი. 7. მწყემსების მფარველი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 10. შეგრძნება, რომელიც ძაღლებს ყველაზე უკეთ აქვთ განვითარებული 16. რამდენიმე ათეული ჭრელი ძაღლის „მშობლიური მხარე“ 90-იანი წლების კინემატოგრაფიდან. 17. რა არის გადაგდებული ჯოხი ძაღლისთვის? 18. ასე ვთქვათ, ძაღლის ცხვირ-პირი. 19. ეს შეიძლება დაგესხას თავს მოუსვენარი და ცქვიტი ძაღლის გასეირნების პროცესში. 23. ქალაქ ლონდონის ძველრომაული სახელი. 24. ჯარის მოწინავე ნაწილი. 25. ჩინური წარმოშობის მოდიდო ძაღლი, ძირითადად შავი, ყავისფერი ან კრემისფერი ბეწვით, (.....)-(.....). 26. ინვალიდი, რომელსაც ჭკვიანი ძაღლის დახმარება განსაკუთრებით სჭირდება. 30. სასაკლაოს ქარგონული სახელწოდება, რომელთანაც ერთგვარი ძაღლიც ასოცირდება. 31. იორკშირში გამოყვანილი ტერიერის ჯიში, იგივე ერდელტერიერი. 32. ძაღლის ყეფის გადმოცემა რუსული ტრანსკრიპციით. 33. შუააზიური ნაგაზის სახელი. 39. ჩვენი კინო-ძაღლი. 40. „ანჟელიკიადის“ ერთ-ერთ სერიალის პერსონაჟი ძაღლი, „საუნივერსიტეტო“ სახელით და ლამის ინტელექტის დონითაც. 41. გერმანული სამსახურეობრივი ჯიშის ელეგანტური ძაღლი. 42. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ძა.. (უკაცრავად!) მგელი მსოფლიო ლიტერატურაში. 47. დიდმა შოთამ ეს სიტყვა ლომთან მიმართებაში იხმარა, ისე კი იგი უფრო ძაღლთან ასოცირდება. 48. „ფილოსოფიური ქვის“ ძიების პროცესის თეორიულ-პრაქტიკული დარგი. 49. რაიმე ტერიტორიაზე ერთი და იგივე ინფექციური სენის მუდმივი არსებობა. 50. კონსტანტინე გამსახურდიას ცნობით, ბიზანტიელი იმპერატორები ამ ტრანსპორტში თავიანთ საყვარელ ძაღლებს სვამდნენ და ისე დაატარებდნენ. რა იგულისხმება? 55. მითოლოგიური გორდიას „წარმონაქმნი“. 56. „სათამაშო“ პატარა ტერიერი, ანუ (....)-ტერიერი. 57. პიტ-ბულტერიერი მეორენაირად. (სხვათაშორის, ამ მეტსახელით მოიხსენიებენ ედგარ დავიდსსაც). 59. ის, რაც ბევრის აზრით, არ ჰყავს გერმანულ ნაგაზს მისი განსაკუთრებული ღირსებების გამო. 63. მატერიკის სინონიმი. 64. ერთ-ერთ ყველაზე ჭკვიან ჯიშად მიჩნეული ანგლო-ამერიკული ძაღლი, რომლის სახელიც კანადის ნახევარკუნძულის სახელწოდებას ემთხვევა. 66. ის, რაშიც შეიძლება ჩაისვა პაწია ოთახის ძაღლი. 71. ამერიკული კინო-ძაღლი. 72. ძაღლების მიერ გასაგრილებლად გამოყენებული სხეულის ორგანო (ზოგ მათგანს ის შავ-ლურჯიც კი აქვს). 73. ძაღლების დასახასიათებლად გამოყენებული არცთუ სასიამოვნო ეპითეტი, რაც მათ „სანიტარულ მდგომარეობას“ უკავშირდება. 74. პატარა ტანის, მინიატურული, ანუ? (მაგალითად, იაპონური ხინი). 75. რა შეიძლება იყოს ზოგისთვის „ოთხფეხა მეგობარი“?. 81. ძაღლის სევდიან-კაეშნიანი ხმიანობა. 82. სახელი, რომელსაც რუსი სამხედროები ხშირად არქმევენ ძაღლებს. 83. ბრიტანეთში ერთობ პოპულარული უნივერსალური დანიშნულების ჯიში. 84. ჩელენტანოს პერსონაჟი, რომელსაც ქალის საზოგადოებას დიდხანს ძაღლისა ერჩივნა, სანამ არ „მოარჯულეს“. 86. ამ კროსვორდის მთავარი გმირების შემსწავლელი დარგი (მეცნიერებისა?) 87. ძაღლის „მთავარი მტრის“ მოფერებითი სახელი. 88. ოლქი სამხრეთ იტალიაში. (ძაღლებთან „განსაკუთრებულ ურთიერთობებში“ შემჩნეული არ არის).

**შვეულად**:

1. ალ. ტოლსტოისეული არტემონის ჯიში, როგორც ასეთი. 2. საქინფორმის ბელარუსული კოლეგა. 4. ეს ორგანო, ეტოლოგების აზრით, ძაღლებს საკმაოდ განვითარებული აქვთ. 5. მგლის ან დიდი ტანის მქონე ძაღლის ფეხი, თათი, ტორი... კიდევ? 6. მეგობარი ასეთი შეიძლება (და უნდა) იყოს. 8. ერთი გურული ხელმოცარული მსროლელის მსხვერპლი. 9. რა შეიძლება აიღოს მეძებარმა? 11. ხასიათი, ზნე (ცხოველებსაც აქვთ). 12. ძაღლის ინგლისურ-ირლანდიურ-შოტლანდიური ჯიში. 13. დასავლეთ საქართველოს ამ ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლები განთქმულნი იყვნენ თავიანთი სამონადირეო ძაღლებით. 14. თქვენს საყვარელ ძაღლს ზუსტი ორეული რომ გამოუჩნდეს, რა იქნება ის მეცნიერულ ენაზე? 15. მსოფლიოში ყველაზე მცირე, მექსიკური წარმოშობის ეკზოტიკური ჯიში. (სახელის ერთ-ერთი ვარიანტი). 20. რა შეიძლება ვუწოდოთ ჯეკ ლონდონისეული თეთრი ეშვის საქციელს „ადამიანურ“ ენაზე, როცა ის შეიარაღებულ დამნაშავეს შეებრძოლა? 21. ყველაფრის სამკურნალო მითიური საშუალება. 22. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა, რომელიც უშუალო კავშირშია ამ კროსვორდის თემასთან. 27. პირი, ვისაც სამართალდამცავები ეძებენ, თუნდაც ძაღლების დახმარებით. 28. მეტად ძვირფასი რამ, განძი. 29. ძაღლის რუსულ-ციმბირული ჯიში. 34. ზოგ გაფუფუნებულ ქვეყანაში ძაღლებს ეს დაწესებულებაც კი აქვთ. 35. ყურშა-მურიას მიერ ნაზი გრძნობების გამოხატვის მეთოდი. 36. თუნდაც დანიური ჯიშის უზარმაზარი ძაღლი. 37. შეგრძნება, რომელიც ძაღლებს ასევე არ ღალატობს. 38. დისნეისეული მულტ-ძაღლის სახელი. 43. პეკინესებისთვის სახელის მიმცემი ქალაქი მეორენაირად. 44. ხრიუშას, სტეპაშკას და კარკუშას მეგობარი. 45. ეშმაკი, ცელქი, ცქვიტი. 46. როგორი ძაღლი ფასობს ძვირად? 51. ჩვენი მშობლიური (....) ნაგაზი. 52. ქვეყანა, სადაც ძაღლს ძირითადად კულინარული თვალსაზრისით უყურებენ. 53. ძაღლი - ფაუნა, ძაღლყურძენა - ? 54. მონადირეების საყვარელი ქმედება ნანადირევის რაოდენობის მიუხედავად. 58.. ანრი ნავარელის მშობლიური რეგიონი სამხრეთ საფრანგეთში. 60. ევროპული ჯუჯების საყვარელი ლითონი. 61. იმ ქალღმერთის სახელი რომაულად, რომლის ბრძანებითაც აქტეონი საკუთარმა ძაღლებმა დაგლიჯეს. 62. ბელკას კოლეგა კოსმოსურ მოგზაურობაში. 65. ამ ჰოლანდიელ გოგონას საყვარელი ძაღლის მაგივრად მხოლოდ (ეს) ჰქონდა. რა? 67. მამალი ცხენი. 68. რუსი მწერალი, რომელიც ცხოველთა სამყაროს აღწერით გახდა ცნობილი, ვიტალი (...). 69. თარაზულ 16-ში მოხსენიებულ ძაღლთა რაოდენობა უფრო ზუსტად. 70. ჩვენი კიდევ ერთი კინო-ძაღლი. 76. ძაღლის მიერ კვალის აღების უნარი, ანუ? 77. შოტლანდიური ნაგაზი „მსხვილი პოლიტიკური ასოციაციებით“. 78. მხოლოდ ამას ვიტყვით: პიპინიას ძაღლი. 79. ძაღლის მიერ ძვლის მირთმევის პროცესი. 80. ბრიარის, პულის ან აქბაშის მიერ სადარაჯო რამ. 85. მდედრი ცხოველებში.






**დღეს ის ეტაპი დადგა, როცა ზოგადი კროსვორდი ნაკლებ ინტერესს იწვევს კროსვორდის ნამდვილ მოყვარულთა შორის (მათი ფოტოები იხილეთ მე-2 გვერდზე). ასე რომ, თუ გაქვთ უნარი და შესაძლებლობა ორიგინალური ან თემატური კროსვორდების შედგენისა, ჩვენი რედაქცია სიამოვნებით ითამნამშრომლებს თქვენთან.**

*გაგიგონია?!*

## ამბავი იმისა, თუ როგორ გადაიქცა ქალბატონი ქეთევან მაღალაშვილი კაცად (?!) ანუ რატომ არ შეიძლება სიტყვების უაზროდ შემოკლება ენციკლოპედიებში

ჩვენს უნივერსალურ ენციკლოპედიაზე მუშაობისას თანდათანობით გამოიკვეთა ის აზრი, რომ სიტყვათა შემოკლება არ არის გამართლებული ქმედება, რადგან, გარდა გაღიზიანებისა, მრავალი შეცდომის სათავეც ხდება.

სიტყვათა შემოკლებით განსაკუთრებით გამოირჩევა ძველი საცნობარო ლიტერატურა, რაც გარკვეულწილად გამართლებული იყო იმდროინდელი პოლიგრაფიული (არაკომპიუტერული) მეთოდებისა და საშუალებების გათვალისწინებით. დღეს კი ყველაფერი ძალზედ სწრაფად და ადვილად სრულდება კომპიუტერის მეშვეობით და „შემოკლებებს" აზრი დაეკარგა.

ასე მოიქცნენ რუსული კომპიუტერული ენციკლოპედიის შემდგენლებიც, რომლებაც საბაზოდ ენციკლოპედიური ლექსიკონი (წიგნი) აიღეს, სიტყვები გაშალეს და სწორედ აქ მოხდა კურიოზი, რაც ჩვენთვის ძალზედ გულდასაწყვეტია და რაც უკვე ვაცნობეთ ხსენებული კომპიუტერული ენციკლოპედიის რედაქციას.

1990 წელს გამოცემულ „**Советский Энциклопедический Словарь**"-ში წერია ასე:

**МАГАЛАШВИЛИ** Кетевана Конст. (1894—1973), сов. живописец, нар. худ. Груз. СССР (1961). Портреты («Я. Николадзе», 1922) отличаются тонкостью психологических характеристик.

როგორც ხედავთ, აქ ერთადერთი შეცდომა ისაა, რომ ქეთევანი **Кетевана** გახდა და გაურკვეველია, ეს პიროვნება **народный художник**-ია თუ **народная художница** და სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დემოკრატიულ-კომპიუტერული ეპოქის ენციკლოპედისტები „იძულებულნი" გახდნენ ტრანსსექსუალური ოპერაცია ჩაეტარებინათ, თუმცა კი, პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი „**бдительность**"-ი გამოამჟღავნეს და „საბჭოთა მხატვრის" ნაცვლად „ქართველი მხატვარი" დაწერეს, ასევე შეიცვლა **Груз. СССР** საქართველოდ.

ასე და ამრიგად, დღეს **Большая Энциклопедия Кирилли и Мефодия 2000** ასეთ ინფორმაციას იძლევა:

**МАГАЛАШВИЛИ** Кетевана Константинович (1894—1973), грузинский живописец, народный художник Грузии (1961). Портреты («Я. Николадзе», 1922) отличаются тонкостью психологических характеристик.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს შეგნებული ანტიქართული ქმედებაა (...მიტინგზე ხომ არ ვართ?!).

ეს უბრალოდ საწყენი ფაქტია, რაც იმედია, შემდეგ გამოცემაში შესწორდება.

...მთავარი დამნაშავენი კი ძველი პოლიგრაფისტები არიან, რომლებმაც ჩათვალეს, რომ მხოლოდ „**Кетевана**"-ა საკმარისი იმისათვის, რომ მკითხველმა ქალი და კაცი ერთმანეთში გაარჩიოს.

## შ.პ.კ. (შეზღუდული პასუხისმგებლობის კროსვორდი)

## „მალულა" წარმოგიდგენთ თავის ახალ ნამუშევარს



1. სპორტული არენა. 2. დაძაბული და ხშირი ანუ? 3. ქალი შეიძლება ასეთიც იყოს. 4. ქალაქი ნიდერლანდში. 5. ერთ-ერთი პირველი კოსმონავტი. 6. რუსეთის ავტონომიური წარმონაქმნი. 7. ერთდროს რუსეთის პირველი ლედის სახელი. 8. წამიერი ანუ როგორი? 9. ტოპონიმი, რომელიც „გვადი ბიგვაშია" დაფიქსირებული. 10. ალან პროსტის საყვარელი საასპარეზო ქმედება. 11. ერთ-ერთი მძლეოსნური ქმედება. 12. ერთ-ერთი გოჭი ცნობილ ქართულ ზღაპარში. 13. მაშ, ვინ იმალება კროსვორდის უკან? (სახელი და გვარი). 14. „დემოკრატიული" შეთანხმება. 15. აზოტის შემცველი ნივთიერება. 16. სანდრო ახმეტელის ერთ-ერთი ცნობილი სპექტაკლი. 17. ინდოჩინეთის მკვებავი ერთ-ერთი მდინარე. 18. დახმარების სახესხვაობა. 19. „მსგავსის" აღმნიშვნელი ბოლოსართი ჩვენს ენაში. 20. ზღვის დიდი ფრინველი. 21. ხელსაქმის სახეობა. 22. იტალიის რეგიონი. 23. ბალზაკის „საყვარელი" ტყავი. 24. ტელესაკომუნიკაციო ნაგებობა. 25. კუბის ნაწილი. 26. ლეილა აბაშიძის პირველი როლი. 27. არამექსიკელის მოსახსენიებელი დამცინავი სახელი. 28. გალაღებული ანუ? 29. ბგერა ასეთიც არსებობს. 30. მოსკოვის კინო-საკონცერტო დარბაზი.

## აფორიზმების ანთოლოგია

19. ქალი საუკუნეების განმავლობაში თამაშობდა სარკის როლს, რომელიც ჯადოსნური და მაცდუნებელი ფუნქციებით იყო აღჭურვილი - მასში არეკლილი ფიგურა მამაკაცისა, ორჯერ დიდი იყო რეალურთან შედარებით.

* * *

20. ქალი ბედნიერების სავიზიტო ბარათია.

* * *

21. არასოდეს ენდოთ ქალს, რომელიც საკუთარ ასაკს უშფოთველად ასახელებს... ქალი, რომელიც ასეთ საქმეს სჩადის, ყველაფერზე წამსვლელია.

* * *

22. ქმრების მიმართ ეჭვი მხოლოდ ულამაზო ქალებს უჩნდებათ. ლამაზი ქალი თავადაა ეჭვის სათავე.

* * *

23. ხშირად ხდება ხოლმე - ქალი მოგცემთ საკუთარი გულის გასაღებს და მეორე დღესვე ცვლის საკეტს.

* * *

24. ქალი, რომელიც ცხოვრობს გონებით და არა გულით, ნამდვილი საზოგადოებრივი ჭირია. მას აქვს ყველა ნაკლი ვნებიანი და მოყვარული ქალისა, ღირსება კი არცერთი არ გააჩნია, რაც ასეთ ქალებს ახასიათებთ. ეს არის დაუნდობელი, უსიყვარულო და უსქესო არსება.

* * *

25. ქალი მამაკაცისაგან ელის ფულს და სიყვარულს და არასოდეს ცვლის ამ ორი მცნების რიგითობას.

* * *

26. ჭკვიანი ქალი ისაა, ვის გვერდითაც თავი სულელად მოგაქვს.

* * *

27. ყველა გათხოვილი ქალი არ არის ცოლი.

* * *

28. მამაკაცს ყოველთვის უცრუვდება გული იმ ქალზე, რომელსაც თავს უზომოდ შეაყვარებს, ქალი კი პატივისცემის გრძნობას არასოდეს კარგავს მოყვარული მამაკაცის მიმართ.

* * *

29. ტანსაცმელი ქალის წინასიტყვაობაა, ზოგჯერ კი მთელი წიგნიც.

* * *

30. გიყვარდეთ ქალი ისეთი, როგორიც თავად შექმენით, ან შექმენით ისეთი, როგორიც გეყვარებათ.

* **

31. მხოლოდ ქალებს შეუძლიათ იყვნენ სხვა ქალების მსაჯულნი და ამავე დროს ჯალათებიც.

* * *

32. იმ ბილიკებს შორის, რომელიც ქალის გულისაკენ მიემართება, სიბრალული ყველაზე მოკლეა.

* * *

33. შიშველ ქალებსაც აქვთ გული.

* * *

34. ვისაც არ უნახავს შეყვარებული ქალი, მან არაფერი იცის ქალების შესახებ.

* * *

35. უნდა შეგეძლოს ქალის გამუდმებული მორჩილება, რათა ხანდახან მასზედ მბრძანებლობაც შეძლო.

* * *

36. არსებობენ ქალები, რომლებიც სიყვარულისათვის შვა ღმერთმა, თუმცა ქალების უმრავლესობა ინტრიგებისთვის არიან შობილნი.

* * *



37. ლამაზი ქალი თვალებს მოსწონთ, კეთილი კი გულს. პირველი მშვენიერი ნივთია, მეორე კი - საგანძური.

* * *

38. რა არის საყვარელი? ეს არის ქალი, რომლის გვერდითაც გავიწყდება ყველა ის ნაკლი, რაც კი ამ სქესის შესახებ იცი.

* * *

39. ქალს არ შეუძლია მეორედ შეყვარება. მისი გრძნობათა სამყარო იმდენად სათუთია, რომ ამგვარ შეზანზარებას მეორედ ველარ გადაიტანს.

* * *

40. საცოდაობა, როცა ქალი ნაკლებ ლამაზად გამოიყურება, ვიდრე შეეძლო ყოფილიყო.

# საგაზეთო რეიტინგი



1. ერთ-ერთი იმ სახელთაგანი, რომლის ხსენებაზედაც ქართველს სიტყვა „მგოსანი“ ახსენდება. 2. ადრე ამ ქალაქს რუსი იმპერატრიცას სახელი ეწოდებოდა, ახლა რა ჰქვია? 3. იხილეთ ფოტო და ამ ქალბატონის უსაყვარლესი „შვილის“ სახელი გაიხსენეთ. 4. XIX საუკუნის რუსი მწერალი და რევოლუციონერ-დემოკრატი. 5. ქართველი კაცების სახელი ძველ დროში. 6. სიტყვა, რომელიც ებრაულად „ცოლს“ ნიშნავს, ჩვენთან კი ჟარგონული ელფერითაა შემოსილი. 7. (განვაგრძოთ ებრაული თემა) ქალაქი ისრაელში. 8. XX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი მოჭიდავე. 9. დედაქალაქი ქვეყნისა, სადაც ჩვენი „ნიკა“ მეტისმეტი ყურადღების ცენტრშია. 10. ძველბერძენი პოეტი-ლირიკოსი. 11. იგივეა, რაც მადა, ოღონდ სპარსულ-ძველთბილისურად. 12. სომეხი კომპოზიტორის, სპენდიაროვის ოპერა. 13. ჩვენი ცნობილი სახალხო მკურნალი, ზაზა. 14. მსგავსი, ბადალი ანუ როგორი (არაქართულად)? 15. კბილების არქონა - მეცნიერულად. 16. საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიზიკოსი. 17. 50-60-იანი წლების ერთი და იმავე გვარის მქონე ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 18. ბუდისტური უზენაესი ნეტარების გარემო. 19. იგივეა, რაც სინდისი, იხტიბარი ასევე სპარსულ-ძველთბილისურად. 20. ჭეშმარიტების შეცნობის გზა კითხვა-პასუხის მეშვეობით. 21. კურორტი საქართველოში. 22. სიტყვა, რომლიტაც ფრანგ „ბატონს“ უნდა მიმართო. 23. სამსხვერპლო ანუ რა? (დღეს ეს სიტყვა განზოგადდა და ზოგადად პირუტყვს ჰქვია). 24. კოტე ცხოვრებაში - არც მეტი არც ნაკლები. 25. მავანი თურქი, რომელმაც რომის პაპი მოსაკლავად გაიმეტა. 26. (ბატონი) გაბაშვილი, ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხატვარი.

*(პოეტურ-მუსიკალური ჩანართი)*

27. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა

**„შატილის ასულო, ლერწამო ტანითა,**
**ტოლებში აგარჩევ ვაჟკაცის ხელითა.**
**შატილის მთებიდან თუშეთში წაგიყვან,**
**ხევზე მფრინავი (..........) ცხენითა“**

28. მეტისმეტად ახლობლური და პირადი ანუ როგორი? 29. ასე ვთქვათ, ბრაზილიელთა „საკარმიდამო ნაკვეთი“. 30. ცნობილი ისტორიული ძეგლი და ტოპონიმი აჭარისა.

1 - 10 ქულა - კროსვორდის შევსებისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. მიდექით, მოდექით, შეაწუხეთ ხალხი.

11 - 18 ქულა - ეს იგივეა, რაც პირველთანრიგოსანის შედეგი

19 - 25 ქულა - ოსტატი ბრძანდებით, ოღონდ ხელმარჯვე კი არა, კროსმარჯვე.

25 - 29 ქულა - იმედია, „ფანტაზიასაც“ მიუძღვის წვლილი თქვენს დიდოსტატობაში!

30 ქულა - ბრავო მაესტრო! ჩვენ უნდა გავიცნოთ ერთმანეთი!

(ერთი კითხვა ერთი ქულაა)



პასუხები მე-18 გვერდზეა

# სატელეფონო რეიტინგი

თუ სურვილი გექნებათ, საღამოს საათებში დაგვირეკეთ და ტელეფონით შემოგთავაზებთ სხვა კითხვებს ზემოთმოტანილი ჩარჩოსათვის. იქვე დავადგენთ თქვენს საკროსვორდო რეიტინგს და მოგიწვევთ ჩვენს დასწრებულ თამაშებში, რომელთა გამართვასაც სექტემბრიდან თვეში ორჯერ ვაპირებთ.

დასაწყისში, რა თქმა უნდა, ფანტასტიურ მოგებები და პრიზები არ იქნება, მაგრამ დროთა განმავლობაში ესეც მოვა.

მთავარია, ჩვენ ერთად ვიყოთ!




ჩვენი სახელოვანი „იაპონისტებისათვის“ კი ვბეჭდავთ მეტად რთულ ნახატს, რათა მათ შეინარჩუნონ სამხატვრო მზადყოფნა ტურნირისათვის, რომელიც 7 სექტემბრს დაიწყება და 4 ტურად გასტანს.

მათსავე სყურადღებოდ ერთ სურვილს გამოვთქვამთ:

გთხოვთ გვაცნობოთ რა დადებითი და რა უარყოფითი მხარეები გააჩნია ჩვენს სამხატვრო ტურნირს და ზოგადად ფამოთქვათ მოსაზრებანი ჩვენი სამხატვრო რეპერტუარის შესახებ.

**თარაზულად:**

1. რა ჰქონდათ მრგვალი მეფე არტურის თანამოაზრეებს? 4. ძველი რომის ქალაქი, რომელიც განადგურებულ იქნა ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად პომპეისთან და სტაბიუმთან ერთად. 8. სამოთხის ბაღი. 14. მითოლოგიური ტანტალოსის ქალიშვილის მოსახელე ქიმიური ელემენტი მენდელეევის პერიოდულ სისტემაში. 15. უდაბნო ჩილეს ჩრდილოეთში. 16. თავდაცვის მიზნით აგებული ნაგებობა. 19. რა ერქვა რუს მოჭადრაკეს ქალს, საერთაშორისო გროსმეისტერსა და მსოფლიო ჩემპიონს გვარად რუბცოვას? 20. ჩვენი მდინარეების თევზი. 21. გლობალური კომპიუტერული ქსელი. 25. „მოიტანე“ - ძაღლების ენაზე. 26. მსოფლიოს ყველაზე წყალუხვი მდინარე. 27. კნუტ ჰამსუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანი (ქართულად თარგმნილია). 30. გაუკეთებლის არგაკეთების შესახებ წუხილი, ანუ რა? 31. დიდი ბრიტანეთის ფულის ერთეულში დაფიქსირებული სიტყვა. 32. მეფე ბაგრატ IV-ის ბრძანებით აგებული ქალაქი ფეოდალურ საქართველოში მდინარე ტანის ნაპირას. 36. ვინ იყო თანამდებობით პილატე პონტოელი იუდეაში?

37. **ИხИლეთ ფოტო№1.**



38. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა - „(.........) ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი“. 42. ბანკიდან ვალად აღებული ფული. 43. კუნძული, რომელზეც მდებარეობს ორი დედაქალაქი - სანტო-დომინგო და პორტ-ო-ფრენსი. 44. სარაინდო-სასულიერო ორდენის წინამძღვრის წოდება. 48. სახელი ცხენისა, რომელიც ენგურში დაიხრჩო მხედართან ერთად... ჩვენს ლიტერატურაში. 49. მამაკაცის სამოსი. 50. მთვარის წერტილი, რომელიც ყველაზე ახლოსაა დედამიწასთან. 54. საზოგადოებაში ქცევის თავისებურების მოსახსენიებელი სიტყვა. 55. ერთადგილიანი სპორტული სწრაფმავალი გემი.

56. **ИხИლეთ ფოტო №6** და მისი გვარი გაიხსენეთ.

57. მუსიკალური ნაწარმოების რიგითი ნომერი. 62. სოფელი აბაშის რაიონში, ოდიშის დაბლობზე. 63. რომელი ქიმიური ელემენტი მოდის წყალბადისა და ჰელიუმის შემდეგ პერიოდულ სისტემაში? 64. რა ერქვა რუსეთის იმპერიაში აჯანყებულ პუგაჩოვს? 67. „ლაოკოონის“ სახელგანთქმული ქანდაკების შემქმნელი ძველი ბერძენი მოქანდაკე ათენოდორესთან და პოლიდორესთან ერთად. 68. ესპანეთის ავტონომიური ოლქი. 69. ეკვადორის დედაქალაქი. 73. ადოლფ ჰიტლერის ნამდვილი გვარი. 74. მელიტონ ქანთარიასთან ერთად რაიხსტაგის დამპყრობი რუსი. 78. ცნობილი ინგლისელი ზოოლოგი და ნატურალისტი, ავტორი მრავალი საბავშვო სათავგადასავლო წიგნისა, ჯერალდ... 79. ჟანგბადსა და ნეონს შორის „გაჩხერილი“ ქიმიური ელემენტი დიდი დიმიტრის „ცხრილში“. 80. ადამიანის კანის დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი.

83. **ИხИლეთ ფოტო№2,** მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „**Собака на сене**“.

84. მომღერალი ესპანელი მამაშვილის გვარი. 85. მითიური მონადირე, რომელიც თანავარსკვლავედად აქციეს. 88. ციმბირის მდინარე, რომელმაც, როგორც ამბობენ, პროლეტარიატის ბელადს ფსევდონიმი მისცა. 89. უდედ-მამო ბავშვების სასწავლებელი. 90. „შევალიე დე გრიესა და მანონ ლესკოს თავგადასავლის“ ავტორი აბატი. 91. რა ჰქვია თანამედროვე ფანტასტს, რომელმაც დაწერა „451 გრადუსი ფარენჰეიტით“? 96. მსოფლიოში სახელგანთქმული ჩრდილო ამერიკული ცირკი. 97. გოგონა, რომელმაც იმოგზაურა საოცრებათა ქვეყანაში და სარკის მიღმა . 98. 1937 წელს რეპრესირებული ცნობილი ქართველი დირიჟორი. 102. „ის“, რისი ზღაპარიც მოუთხრო ადამიანებს ჯონათან სვიფტმა. 103. გლადიატორების საასპარეზო მოედანი ძველ რომში. 104. აომინის პორტუგალიური სახელწოდება. 105. არქიტექტურული სტილი, რომელიც XIX ს ევროპაში დომინირებდა და რომლის ერთ-ერთი ნიმუშიც პარიზის ტრიუმფალური არკა გახლავთ.

110. **ИხИლეთ ფოტო№3**, ქალის მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „**Собака на сене**“.

111. ნიუ-იორკში მისი ოპერაც არსებობს და მუზეუმიც, საქართველოში კი ის მხოლოდ თბილისშია... რა არის ის? 114. ემილ ზოლას რომანი. 115. რომის იმპერატორი ფლავიუსების დინასტიიდან. 116. კარლსონის საფრენი მოწყობილობა. 120. ნაპოლეონის მარშალი და სიძე, შემდგომში ნეაპოლის მეფე. 121. ძლიერი მომწამვლავი ნივთიერება. 122. ჩრდილო რუსეთის ნახევარკუნძულის სეხნია ძაღლის შოტლანდიური ჯიში. 126. ბიბლიურ თემაზე შექმნილი ნაწარმოები, რომელსაც არ აღიარებს ჭეშმარიტად ეკლესია. 127. მთავარი პერსონაჟი ქალი ერთ დროს ჩვენში მეტად პოპულარული სერიალისა „მდიდრებიც ტირიან“. 128. დიუოგენეს თანამედროვე ფილოსოფოსები კასრში მცხოვრებ დიოგენეს „ძაღლიშვილს“ ეძახდნენ... ვინ იყო დიოგენე მათი აზრით? 129. უშფოთველი და უზრუნველი ცხოვრება. 130. ცხოველების ჯანმრთელობის პრობლემებითა და მკურნალობით დაკავებული მეცნიერება. 131. ქალაქი აშშ-ში მიჩიგანის ტბის პირას, სადაც პირველად აშენდა ცათამბჯენები საუკუნის დასაწყისში.

**შვეულად:**

1. რა ჰქვია ძაღლს ჯერომ კლაპკა ჯერომის მოთხრობაში „სამნი ნავში თუ არ ჩავთვლით ძაღლს“? 2. ავსტრიის უდიდესი მწვერვალი. 3. რა ჰქვია თანამედროვე ჰოლივუდელ მშვენიერ ქალბატონს, გვარად ბერიმორს? 5. ინჰიბიტორი ქიმიურ რეაქციას ანელებს, რა აჩქარებს? 6. მათეს, მარკოზის და იოანეს „თანამოსაქმე“. 7. მდინარე ბელორუსში, რუსეთში და ლიტვაში. 9. ტექნიკური მიზნებისათვის განკუთვნილი სპირტი. 10. კატის ხმიანობა. 11. ღვინის გაფუჭებისაგან მიღებული სითხე. 12. მუშთარიც, ზუალიც, ასპიროზიც, ოტარიდიც და მარიხიც თანამედროვე ტერმინოლოგიით. 13. აფრიკის ქვეყანა, რომელიც აშშ-ში განთავისუფლებულმა მონებმა დააარსეს. 17. ვინ იყო შამილი? 18. ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც არცთუ უმნიშვნელო პერსონაჟია ალექსანდრე დიუმა-მამას რომანისა „სამი მუშკეტერი“. 22. გულის იშემიური დაავადების ერთ-ერთი ფორმა. 23. ჭექა-ქუხილის ქალღმერთი ინდუიზმში. 24. ნაპოლეონის მარშალი, რომელიც შემდგომში შვეციის სამეფო დინასტიის მამამთავარი შეიქმნა. 28. შტატი აშშ-ს სამხრეთში. 29. ვინ იყო წოდებით ათოსის, იგივე გრაფ დე ლა ფერის ვაჟი? 33. ქალაქი გერმანიაში, ბადენ-ვიურტემბერგის მიწის ადმინისტრაციული ცენტრი. 34. გემა არსებობს ორნაირი - ჩაღრმავებული და ამობურცული... ამობურცულს კამეა ჰქვია, ჩაღრმავებულს - ? 35. ამერიკელი კინორეჟისორი შემქმნელი გახმაურებული ფილმისა „ჩალის ძაღლები“, სემ...

39. **ИხИლეთ ფოტო№4**, შემქმნელი გახმაურებული ფილმისა „ცოფიანი ძაღლები“.

40. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა ჩვენი ნომრის თემაზე. 41. „ბითლზების“ სატახტო ქალაქი. 45. XX საუკუნეში მოღვაწე რუსი კომპოზიტორი, ავტორი ბალეტისა „ოქროს გასაღები“. 46. ჯარის რჩეული ნაწილი. 47. ფასეული ნივთებისა და დოკუმენტების საცავი. 51. სადაური იყო პოეტი ივან ფრანკო? 52. სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც სახელად „სურვილი“ ჰქვია ტენესი უილიამსის ცნობილ პიესაში. 53. ბენვენუტო ჩელინის ცხოვრების შესახებ შექმნილი რომანი ალექსანდრე დიუმა-მამისა. 58. ამერიკელი მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში, რომელმაც ყველას თავი დაამახსოვრა კინოში ტარზანის როლის თამაშით. 59. ოქტომბრელსა და კომკავშირელს შორის არსებული კომუნისტური რგოლი წარსულის საბჭოეთში. 60. პოსეიდონის მეუღლე ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 61. რა ეწოდება პროცესს, როდესაც გაუფასურებულ ფულს ზედმეტ ნულებს „აცლიან“? 65. ნოეს კიდობნის ნავთსაყუდელი მთა. 66. ქალაქის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობა წარსულის გერმანიის ქალაქებში. 70. ბალეტში მასიური ცეკვების შემსრულებელ მოცეკვავეთა ჯგუფის სახელწოდება. 71. რაიმე ტერიტორიის ძირძველი მოსახლე. 72. ლითონის კოჭა, რომელსაც აქვს **П**-ს ფორმის კვეთი. 75. რომის იმპერატორი, რომლის ზეობის დროსაც ძველი რომის იმპერიის ტერიტორიის ფართობმა მაქსიმუმს მიაღწია. 76. 80-იან წლებში თბილისის „დინამოში“ მოთამაშე ფეხბურთელი. 77. პატარ-პატარა ქალაქების გაერთიანების პროცესი. 81. გრიგორი ჩხარტიშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი. 82. ერთ-ერთი რუსი დეკაბრისტთაგანი. 86. ჰადესის სამფლობელოს შესასვლელი მცველი სამთავიანი ძაღლი. 87. მარცვლეული კულტურა. 92. ის, რასაც არ დაირტყამს კარგი ცხენი, ანდაზის თანახმად. 93. რაიმე გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე. 94. საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრის ერთ-ერთი თვეც და ემილ ზოლას რომანიც. 95. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძაღლის ჯიში. 99. ზვიგენების ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც ბინადრობს შავ ზღვაში. 100. გულუბრყვილო გოგონების როლების შემსრულებელი მსახიობი. 101. „ფორმულა 1“-ის გათამაშებაში მონაწილე დიდი ბრიტანული გუნდი. 106. რა ერქვათ პოლონელ მწერლებს ეჟი ლეცსა და ლემს? 107. ის, რად გადაქცევადაც ოცნეობს თითოეული ხელმოწერა. 108. წარსულის რუსი მოჭადრაკე და საერთაშორისო გროსმეისტერი. 109. სტუდენტის „ხელფასი“. 112. ტიპიური ძველი თბილისელი ჩარჩი. 113. თეატრის ცნობილი რუსი მსახიობი ქალი, მარია... ტრაგედიული როლების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემსრულებელი. 117. ოთარაანთ ქვრივის ვაჟის სახელი. 118. პლანეტა ურანის თანამგზავრი. 119. გიორგი დანელიას ფილმი. 123. ტანით ყველაზე მაღალი ძაღლის ჯიში.

124. *ისილეთ ფოტო№5.* და მისი ერთ-ერთი თეატრალური როლი გაიხსენეთ.

125. გავრილ ტროეპოლსკის მიერ შექმნილი შავყურა თეთრი ძაღლის სახელი.

**შეადგინა**
**ვახო ელერდაშვილმა**




1


2


3


4


5


6

# 24 აგვისტოს ვითამაშოთ ერთად

დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე მოთავსებული რეპორტაჟის გაცნობის შემდეგ ნამდვილ მეკროსვორდეს აუცილებლად გაუჩნდებოდა სურვილი, თავადაც მიეღო მონაწილეობა დასწრებულ გუნდურ თუ პირად ტურნირებში.

ა.წ. 24 აგვისტოს ჩვენ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ წარმოაჩინოთ საკუთარი საკროსვორდო მომზადება და შეერკინოთ ჩვენი ჩემპიონატების უკვე აღიარებულ „სპორტსმენებს" (ჯერჯერობით ბრჭყალებით ვიხმაროთ ეს სიტყვა, დრო მოვა და ბრჭყალებსაც გავხსნით).

ჩვენ ასეთი რამ მოვიფიქრეთ: „ფანტაზიის" მთავარი რედაქტორი და ტურნირების ჯერჯერობით ერთადერთი და შეუცვლელი წამყვან-მსაჯი თამაშისათვის მოამზადებს ხუთ ცნობილ „ფანტაზიელს" და მათ სიძლიერის მიხედვით გაანაწილებს სხვადასხვა ბადეზე (ჩვენ „დაფა" არა გვაქვს, ეს მცნება მოჭადრაკეებს მოჰკითხეთ). გვსურს, რომ თქვენთვის უკვე ცნობილ მეკროსვორდეებს დაუპირისპირდნენ ისინი, ვისაც ჯერ არ ვიცნობთ და სურვილი გვაქვს, რომ ვიცნობდეთ.

დაგვირეკეთ და დაგვიდასტურეთ თქვენი მოსაზრება ამგვარ მატჩში მონაწილეობის მიღების თაობაზე, ჩვენ კი გაცნობებთ თამაშის ჩატარების დროსა და ადგილს.

მაშ ასე - ველით (ჯერჯერობით) უცნობი „ფანტაზიელების ზარებს და თუ ასეთები არ გამოჩნდნენ, მთავარი მსაჯი დაასახელებს საკუთარ ფალავნებს, ძველმა „სპორტსმენებმა" კი დაასახელონ საკუთარი ხუთეული და ვითამაშოთ.

ჩვენ ჯერჯერობით არანაირი თვალისმომჭრელი პრიზები არ გვაქვს და ვთამაშობთ იმისათვის,რომ ჩვენი თამაში პოპულარული გახდეს, არადა, ღმერთმანი. ამგვარი გართობა ნამდვილად ღირსია ფართო ასპარეზზე გასვლისა.

აქვე გთავაზობთ სხვა იდეასაც, რასაც, რა თქმა უნდა, განვახორციელებთ:
„ფანტაზიის" მთავარი რედაქტორი, რომელსაც საკუთარი თავი არანაკლები „სპორტსმენი" ჰგონია, ერთდროული თამაშის სეანსში გამოიწვევს თავის მკითხველ-შემვსებებს... მას სურვილი აქვს (ნეიტრალური კროსვორდისტის მიერ შედგენილ ბადეზე) დაუპირისპირდეს მათ, ვისაც არაერთხელ წაუხდინა ხასიათი საკუთარი ნაცოდვილარებით
ჩვენი კლუბის წევრებს კი ველოდებით 16 აგვისტოს, დათქმულ ადგილზე.

## შპს „მალულა-კორპორეიშენის" სკანდინავიური პროდუქცია



# ექსპერიმენტი

თქვენს წინაშეა ორმაგი სკანვორდი, ანუ ორი სრულიად დამოუკიდებელი ქმნილება, პირობითად „ზედა“ და „ქვედა“ სკანვორდები. („ზედა“ ვუწოდეთ იმას, რომლის კითხვებიც და ასოების ჩასაწერი ა ილებიც მოთავსებულია უჯრების ზედა მარცხენა ნაცრისფერ ნაწილში. „ქვედა“, შესაბამისად, უჯრების ქვედა მარჯვენა თეთრ ნაწილში). შევსების წესი თითოეული მათგანისთვის ზუსტად ი ვეა, როგორც ჩვეულებრივ. დაიმახსოვრეთ: ერთ კროსვორდს არაფერი საერთო არა აქვს მეორესთან, ისინი ცალ-ცალკე უნდა შეავსოთ, ჯერ ერთი, მერე მეორე. გირჩევთ, სკანვორდები სხვადასხვა ფერი ლმით ან ფანქრით შეავსოთ, რათა უნებლიედ ერთმანეთში არ აგერიოთ. პასუხების ჩაწერის ნიმუშები ნაჩვენებია თვით სკანვორდში.

ჩვენი ყაჩაღი
ჩიკონე
ჩვენი ტაძარი
კახეთის სოფელი
მიდამო
ჩვენი ძაღლი
რუსული მანქანა
ქაჯანას და
(....) ჯაგარი
ა
კონტური
ღირებულება
დიდი სიზუსტე
რ ე ი ს ი
იხტიბარი
ბ
ჩამლეტი უყვარდა
ცხელი სასმელი
მშვენიერი
თხების ჯოგი
მარშრუტი
რ
ნამცხვარი
კარგი ამინდი
ბირმის მდინარე
ხედვის კუთხე
უ
საბჭოთა ფილმი
„ელექტრა“
იტალ. კერძი
მავრი
ირანის სააგენტო
კომპანია
ჩაწოდება
ფინური მობილური
აფრიკის უდაბნო
(...) მანიანი
ყაიმი
ლიტვის ქალაქი
(......) ნოსტრა
ძაღლის ჯიში
ქართული ჟურნალი
„(...) გიუნტი“
დავალება
კომში
საკარმიდამო
ბრიტანია და (...)
„გრიჟა“
ხმალაობა
ჯარი
(.....) რივზი
ვაშლის ჯიში
ქალაქი საფრანგეთში
ჩვენი ძველი ასო
„მთვრალი“ რიცხვი
(....) მიდლერი
ნიავი
ძვ. ვიეტნამი
ხალხი
კედლის სანათი
ვულკანი
პროვიზორი
ტუჩების საცხი
ელექტრას ძმა
(....)-ყულიხანი
ფუტკრები
O.K.
მწვერვალი
ერთ-ერთი მუზა
კავშირი
ქნარი, ანუ?
მჭედელს აქვს
ფინიკიური ღვთაება
ჩვენი ასო
ხალი
ექსხე
ქების ღირსი
იგავის კოლეგა
(....)-დალალე
(......) ემე
იაპონური კოლოფი
კუროსავა
„ბახტრიონში“
ყაზბეგის პერსონაჟი
თეთრაშვილი
მუცელზეა
ქართ. გაზეთი
ლითონ. ფურცელი
ინგლის. კილომეტრი
ტერნერი
ნონა
მონმარტრი
ვაგონების სადგომი
მაცივარი
ჭამა
ჩოჩქოლი
კუკარაჩა და (...)
ევრაზიის დერეფანი
კობო (.....)
(......) კრუზი
(....)-ფაქტუმ
მაკ-ფერსონი
პაუზა
შოთას კალამი
ნაწილაკი
ზევსის ძროხა
იოკო (....)
დე (.....)
მდინარე გერმან.
1-ლი მსხვერპლი
(.....) პაჩინო
ინგლის. ეტლი
ცუდის მომტანი
კაპელის გუნდი
გოგრის სახეობა
ვალტერ (....)
მცველის ამპლუა
(....) ილიესკუ
„საფეიქრო“ ბანანი
იაპონ. ქალაქი
საბჭოთა ფიზიკოსი
გერდა და (...)
დიდი მწერალი



**თარაზულად:** 1. იაპონიას უმთავრესად ოთხი კუნძული ქმნის, ესენია - ჰონსიუ, ჰოკაიდო, კიუსიუ და... რომელი? 4. რა ეწოდება ისლანდიის პარლამენტს? 7. რა ერქვა თბილისის ტელევიზიის პირველი არხის საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ საკვირაო გადაცემას 90-იან წლებში? 13. ტელეფონის გამომგონებელი მეცნიერის სახელობის ლოგარითმული სიდიდის მეათედი ნაწილი. 14. მიმდინარეობა, რომელიც გამორიცხავს რაიმე კონფლიქტის საომარი გზით გადაწყვეტას. 15. პარიზის ერთ-ერთი გარეუბანი. 18. ცნობილი გერმანელი კინორეჟისორი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი ბად ვერიშოფენი გახლდათ. 19. მატრიცის შემადგენელი ელემენტებისაგან შედგენილი გამოსახულება, რომელიც ახასიათებს ამ მატრიცას მათემატიკაში. 21. რა არის, მაგალითად, წრეწირის ნახევარი? 22. ცნობილი იტალიელი კინორეჟისორი, რომელიც იყო დიდი იტალიელი მოქანდაკის სეხნია. 23. გაუშლელი ყლორტი. 27. გონებაჩლუნგის მოსახსენიებელი ერთ-ერთი სიტყვა. 28. იაპონიაში სულ ცხრა ქალაქია, სადაც არის მეტროპოლიტენი... აქ ერთ-ერთი ამ ცხრათაგანი (რომელიც ჩაეტევა) ჩაწერეთ. 29. რა ჰქვია მსახიობი ჯუდი გარლანდის, ასევე მსახიობ, ქალიშვილს? 34. გამოსხივების რომელი სახეობა წარმოადგენს ელექტრომაგნიტურ ტალღას? 35. სიმფონიურ ორკესტრში შემავალი დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი. 36. გემის მიმართულების შეცვლა ქარის ქროლვის საწინააღმდეგო მიმართულებით. 40. მდინარე ციმბირში, რომელზეც მდებარეობს ქალაქი იგარკა. 41. კითხვა-პასუხის ფორმის ინტელექტუალურ შეჯიბრი. 42. ქალის მთავარი როლის შემსრულებელი ფილმებში: „ვოლგა, ვოლგა“, „ცირკი“ და ა.შ. 45. სირიუსი თავისი არსით (*<u>სხვათა შორის</u>* ის დიდი ქოფაკის შემადგენლობაში ირიცხება). 46. რომის იმპერატორ ადრიანეს ფავორიტი ყმაწვილი, რომელიც რომში გაღმერთებულ იქნა მისი სიკვდილის შემდეგ. 47. ჯო დასენის სიმღერა. 50. ქალაქ ვოლგოგრადის ყოფილი სახელწოდება. 51. რაო, რას ამბობს მედეა ჩახავას კინოპერსონაჟი „ჭრიჭინა“-ში, მამაკაცების რა უნდა გაწყდესო? (სხვათა შორის, ეს სპარსული სიტყვაა და „ჯაჭვურ კავშირს“ აღნიშნავს. 55. თანამედროვე იაპონელი კინორეჟისორი, ნაგისა.... 56. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში. 57. ორსახლიანი მერქნიანი მცენარე ტირიფისებრთა ოჯახისა. 62. პოპულარული საბავშვო სერიალი შოტლანდიური ნაგაზის შესახებ. 63. ერთ-ერთი ძველი რუსული მართლმადიდებლური სექტის მიმდევარი. 64. მრავალი შემადგენელი ნაწილის იდეალური შერწყმა ერთმანეთთან. 67. ფრანგი ფილოსოფოსი, ეტიენ ბონო დე... (1715-1780). 68. ვერცხლთან და ოქროსთან შეწყვილებული შენადნობი ოლიმპიურ მიმდინარეობაში. 69. როგორი ადამიანი იყო ჰომეროსი გადმოცემის თანახმად? 72. ყურძნის დასაწური მოწყობილობა. 73. თავაშვებული ღრეობა. 74. არწივის თანავარსკვლავედის ალფა ვარსკვლავი. 79. რაფაელ საბატინის სათავგადასავლო რომანების მთავარი პერსონაჟი კაპიტანი. 80. ფლეგმატური ტემპერამენტის მქონე პერსონაჟი ძაღლი უოლტ დისნეის მულტფილმებში. 81. რეჟისორი, რომლის კინონახელავშიც ვხვდებით ძაღლს, სახელად ზარბაზანას. 86. დიდი, ბომბორა ძაღლის ჯიშიც და ალპებში მდებარე ორი ცნობილი უღელტეხილის სახელწოდებაც. 87. ექიმი, რომელთანაც მოხვდება თითოეული თუ რომელიმე კიდურს მოიტეხს. 89. ქალის მთავარი როლის შემსრულებელი ლეონიდ გაიდაის ფილმში „კავკასიელი ტყვე ქალი“. 90. კონსტანტინე სტანისლავსკის ნამდვილი გვარი. 91. მოკრივეების „საყვარელი“ ხილი. 92. რა ეწოდება „კარტში“ ერთი და იგივე მასტის ქალს და პაპას? 93. პატარა ძაღლი. 94. ძაღლის ჯიში, რომელსაც სახელი ჩინეთის დედაქალაქმა მისცა.

**შვეულად:** 1. რუსულად - **Перламутр**, ქართულად - ? 2. რა ერქვა იაპონელ მარინისტ მხატვარს, გვარად ჰოკუსაის? 3. ლუბა უსპენსკაიას ცნობილი სიმღერა მანქანის შესახებ. 5. თანამედროვე იაპონელი კინორეჟისორი, ტადასი... 6. რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის მკვლელის გვარი. 8. უდაბნოში მქროლი მშრალი ქარი. 9. პატარა ნივთი, რომელიც ჩამოაქვთ ტურისტებს რომელიმე ქვეყნიდან ამ ქვეყანაში გატარებული დღეების სამახსოვროდ. 10. გამცემის და მზაკვარის კიდევ ერთი სინონიმი. 11. თანამედროვე არგენტინელი ფეხბურთელი, დიეგო... 12. მეთოთხმეტე ნომერი ქიმიური ელემენტების პერიოდულ სისტემაში, რომლის სიმბოლოა - **Si**. 16. წვრილი სასიმღერო ხმა. 17. ვინ იყო ტომაზო ტორკვემადა? 20. ცეკვა, სადაც მოცეკვავენი „მელიის ნაბიჯებს“ ადგამენ. 24. თეატრისა და კინოს ცნობილი ინგლისელი მსახიობი ქალი, ვანესა... 25. კაბო-ვერდეს დედაქალაქი. 26. „საქღარუნო“ მუსიკალური ინსტრუმენტი. 30. პოსეიდონის თანამეცხედრე ბერძნულ მითოლოგიაში. 31. უკანონოდ შობილი შვილი. 32. მილიონი, მილიარდი, ტრილიონი, კვადრილიონი... შემდეგ? 33. XVI ს მოღვაწე ნიდერლანდელი რევოლუციონელი, რომელსაც გოეთემ ტრაგედია მიუძღნა, ბეთჰოვენმა კი უვერტიურა. 37. ჰერაკლეს ძველი რომაული სახელწოდება. 38. რა ეწოდება პროცესს, როდესაც ძაღლი კბილებს გვაჩვენებს? 39. ახალი წელი გურიაში. 43. გეომეტრიის ნაწილი, რომელსაც სიბრტყეზე მდებარე ფიგურები ეხება მხოლოდ. 44. დეკორატიული, მინიატურული ძაღლების ჯიში. 48. რუსი მწერალი, ავტორი სათავგადასავლო რომანისა „ორი ოკეანის საიდუმლოება“. 49. არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს სხდომა, რომელსაც ყველა წევრი ესწრება. 52. უილიამ შექსპირისეული ვენეციელი ვაჭარი. 53. ესპანეთში - კაუდილიო, იტალიაში - დუჩე... გერმანიაში - ? 54. სახალინში დაბადებული ამერიკელი კინომსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ჯონ სტარჯესის ფილმში „შესანიშნავი შვიდეული“. 58. რუსი პოეტი, ავტორი ლექსებისა „**Собаке Качалова**“ და „**Сукин сын**“. 59. რა ერქვა ვიკინგების ხომალდებს? 60. თურქეთის უძლიერესი საფეხბურთო კლუბი. 61. მითიური ქალბატონთაგანი, რომელსაც ღმერთებმა უძირო კასრით წყლის ავსება მიუსაჯეს მის დებთან ერთად. 65. ალექსანდრე პუშკინის მეგობარი რუსი პოეტი და დეკაბრისტი, ვილჰელმ... 66. მოჭრილი და გასხეპილი წვრილი ნედლი ტოტი. 70. გემიც, რომლითაც ჩარლზ დარვინი გაემგზავრა სამოგზაუროდ და მეძებარი ძაღლის უძველესი ინგლისური ჯიშიც. 71. რუსი მწერალი, ავტორი ცნობილი „**Белый Бим Черное ухо**“-სი. 75. ოდნავ მარჯვნივ გადახრილი სასტამბო შრიფტი. 76. უზენაესი ღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში. 77. ავტომობილის ძრავის ასამოქმედებელი მოწყობილობა. 78. ცნობილი ქართველი მოქანდაკე, იაკობ... 82. ქრისტეს მოციქულთაგანი, რომელიც შოტლანდიისა და რუსეთის მფარველი წმინდანია. 83. როგორია ნაპირს ადევნებული ძაღლი ჩინგიზ აითმათოვის მოთხრობაში? 84. მარცვლოვანი კულტურა, რომელსაც ვხვდებით ჯერომ დევიდ სელინჯერის მთავარ ნაწარმოებში. 85. რა აღაფრთოვანებს და რა იწვევს გაოცებას უმთავრესად ლეონარდოს „მონალიზაში“? 88. რაიმე საბუთი.

50 ▼ 45 ▶

Column clues (left to right, top to bottom):

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 24 25 |
| 2 | 24 1 22 |
| 3 | 24 2 22 |
| 4 | 24 1 22 |
| 5 | 25 1 2 19 |
| 6 | 25 1 19 |
| 7 | 26 20 |
| 8 | 11 10 21 |
| 9 | 10 1 8 22 |
| 10 | 10 12 22 |
| 11 | 10 1 9 23 |
| 12 | 10 11 23 |
| 13 | 6 1 11 24 |
| 14 | 6 1 1 10 24 |
| 15 | 6 1 1 9 25 |
| 16 | 7 1 9 25 |
| 17 | 10 1 7 25 |
| 18 | 6 1 1 21 10 |
| 19 | 6 2 1 1 5 11 10 |
| 20 | 6 1 1 4 8 11 |
| 21 | 7 1 1 3 6 1 8 |
| 22 | 11 1 1 5 2 8 |
| 23 | 8 1 1 2 1 8 |
| 24 | 8 1 1 2 2 9 |
| 25 | 6 1 1 3 1 2 9 |
| 26 | 5 2 1 5 1 1 3 9 |
| 27 | 5 3 1 7 1 2 3 2 5 |
| 28 | 4 2 11 1 5 5 3 |
| 29 | 3 2 9 2 4 6 2 |
| 30 | 2 2 9 3 3 8 2 |
| 31 | 2 2 8 3 2 9 1 |
| 32 | 1 2 8 6 4 10 |
| 33 | 2 8 16 10 |
| 34 | 3 7 16 11 |
| 35 | 3 7 17 11 |
| 36 | 3 7 18 9 1 |
| 37 | 2 9 19 6 1 |
| 38 | 2 8 19 4 3 |
| 39 | 17 21 5 |
| 40 | 16 29 |
| 41 | 15 28 |
| 42 | 14 2 2 28 |
| 43 | 13 4 3 27 |
| 44 | 18 31 |
| 45 | 18 31 |

Row clues (top to bottom, left to right):

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 32 11 |
| 2 | 31 12 |
| 3 | 29 4 7 |
| 4 | 28 4 7 |
| 5 | 27 3 7 |
| 6 | 25 2 7 |
| 7 | 12 2 4 3 8 |
| 8 | 12 1 1 7 8 |
| 9 | 12 2 1 1 1 2 8 |
| 10 | 12 1 1 1 9 |
| 11 | 8 4 5 9 |
| 12 | 7 4 10 |
| 13 | 7 18 |
| 14 | 9 15 2 |
| 15 | 8 5 5 10 3 3 |
| 16 | 8 1 5 2 11 2 3 |
| 17 | 8 1 6 11 1 4 |
| 18 | 20 12 4 |
| 19 | 21 10 |
| 20 | 22 9 1 4 |
| 21 | 21 6 5 4 |
| 22 | 19 4 9 3 |
| 23 | 18 14 2 |
| 24 | 7 8 1 19 |
| 25 | 3 5 1 16 |
| 26 | 3 1 2 4 14 |
| 27 | 1 3 7 14 |
| 28 | 1 9 13 |
| 29 | 6 11 13 |
| 30 | 5 13 13 |
| 31 | 4 15 13 |
| 32 | 24 14 |
| 33 | 22 3 14 |
| 34 | 22 2 14 |
| 35 | 26 2 14 |
| 36 | 24 3 13 |
| 37 | 20 6 13 |
| 38 | 18 8 10 |
| 39 | 17 6 2 8 |
| 40 | 17 3 7 7 |
| 41 | 20 11 7 |
| 42 | 20 15 6 |
| 43 | 26 11 6 |
| 44 | 26 11 6 |
| 45 | 26 11 6 |
| 46 | 27 9 7 |
| 47 | 27 7 7 |
| 48 | 28 6 8 |
| 49 | 30 4 8 |
| 50 | 31 10 |




როგორც გასულ ნომერში მოგახსენეთ, ჩვენს ერთ-ერთ მოვალეობად მიგვაჩნია გაგაცნოთ ის საინტერესო წიგნები, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამა თუ იმ პუბლიკაციის მომზადებისას და საერთოდ - რომლებიც დიდ სამსახურს გაუწევენ ცნობისმოყვარე ადამიანს პირად საქმიანობაში.

ამჯერად გთავაზობთ ნევილ უილიამსის მიერ შედგენილ წიგნს - „„XX საუკუნის სრული ქრონოლგია“, რომელიც 2001 წელსაა გამოცემული და სადაც ერთადაა თავმოყრილი განვლილი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ ფუნდამენტალური ნაშრომით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს 1900-1999 წლების საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ.

ომები და რევოლუციები, კატასტროფები და სტიქიური უბედურებები, პოლიტიკა და ეკონომიკური განვითარება, მეცნიერება და განათლება, ხელოვნება და კულტურა, დიდი ადამიანები და სხვადასხვა ერების ყოველდღიური ცხოვრება - ეს ყველაფერი ამ ერთ მოზრდილ ტომშია თავმოყრილი. გირჩევთ დაინტერესდეთ!

სახის უმოძრაობა 6

დიდი ქართველი მოჭიდავე 8

მსახიობი მურმანი 7

იტალიის ქალაქი 6

საცვალი ასეთიცაა 5

გურიის სოფელი 5

ინგლისელი ქალბატონი 4

სიბნელე 4

უდაბნოს ცხელი ქარი 6

ჩვენი ანსამბლი 5

მექსიკის ვულკანი 7

მამალს აქვს 4

გადასახადი 5

ალექსანდრე 4

ძვ.ბრაზილ. ფეხბურთელი 6

საფრანგეთის ქალაქი 5

ხილი 4

წყალში გასასვლელი 4

წინაალმდეგი 6

ცივი იარაღი 5

მსახიობი (......) ანდერსონი 4

რუსეთის მთიანი მხარე 5

ხე 4

დიდროს პერსონაჟი 4

(......) ქირია 8

წრის ნაწილი 5

დორიანი 4

შეკეთება 7

კატისებრი მტაცებელი 4

მთიდან მოვარდნილი წყალი და მიწა 8

ცნობილი ნელსონი 7

საზოგადოებრივი წყობა 10

ლევ ტროცკის მკვლელი 9

აფრიკის სახელმწიფო 6

ცხოვრების წლები 5

უკანასკნელი (კომუნალური) ბინა... ეჰ! 8

საუნა 5

იმ დროს 5

(.......) ჭერო! მოკვდი მტერო! 5

(........) მაუსი 4

რა არის „ძაღლი თივაზე“ – ზოგადად? 6

ძვირფასი ქვა 4




ფილმი „მიფრინავენ წეროები“ – რეჟისორი 13

თითი 4

მიდამო 7

თევზსაჭერი 4

აქტიური და ძლიერი 9

როგორი ღმერთია იანუსი? 6

ჩეხეთის ქალაქი 4

არაბული ქვეყანა 5

თბილისის უბანი 4

ვაჟა-ფშაველას ძმა 6

თანაქლერადობა 7

**13**

ბანქოს არატრადიციულ თამაში 4
ინდოეთის შტატი 5
კომუნისტების იდეოლოგია 9
(..........) ალაგ-ყვითელ ალაგ-ალისფერია 9
ციმბირის რკინიგზა 4
თავდადებული კაცი 5
მთა პიატიგორსკთან 6
აღა-მაჰმად ხანი დინასტიით 6
დიპლომატიური დოკუმენტი 4
რუსული ქვემეხი 7
ტუჩი 4
მეფოლადის ღუმელი 7
დინ.თბ. მწვრთნელი 1964 წ 8
სასულე ინსტრუმენტი 5
შავი ზღვის კურორტი 5
ჩიტი 6
ცხოველის კიდური 4
კინოთეატრალური აქმე 4
ზამთარში გვჭირდება 5
ქართული კერძი 6
ტატოს ლექსი 6
შაქრის დაბა 5
თბილისის რაიონი 5
ღვინის ჭურჭელი 4
ომის ღმერთი 5
ქალაქის ნაწილი 5
ძველირანელი მოხელე 7
მცირე აზიის ისტ. რეგიონი 8

დღევანდელი ნომრის თემა – რუსულად 6
ფრანგი მხატვარი ანრი... 6
რეზულტატი 6
ციური სხეული 6
ციური ხომალდი 6
XIX ს რუსი მეომარი 6
ოდესის იუმორისტული ღონისძიება 8
სამეწარმეო წილი 3
კვირის დღე 6
ქვეყნიერება 7
ილიას მეწისქვილე 5
ქართული გაზეთი 4
მე-14 გვერდზეა 4
მოხერხებული 6
„(.....) საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“ 4
ფაფუკი 5
ხორცი 5
ორ სვეტს შორისაა მოქცეული 5
ცნობილი კანადელი ჰოკეისტი 5
(.......) ფიტცჯერალდი 3
სახუმარო ნახატი 10
მშვენიერი რუსი ტელედიქტორი არინა... 8
საქმიანობა (ჟარგ.) 6
კვეს-აბელის კოლეგა 6
ირინე 7
ფული 4
მდინარე სამხრეთ საქართვ. 5
ჩვენთან ახლოს 2
აშშ-ს შტატი 7
ასეთი ხანაც იყო (რის?) 4
ჯგუფ „კინოს“ ლიდერი 3
აშშ-ს შტატი 4


ამ მსახიობის ქალს ესენინმა ლექსი უძღვნა

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

**428. შერლი ტემპლი**
Temple, Shirley (1928-)
**მსახიობი**

შერლი ტემპლი მსოფლიო კინოს ისტორიაში ყველაზე პოპულარული ბავშვი-ვარსკვლავია. იგი ეკრანზე 3 წლის ასაკში გამოჩნდა და 13 წლამდე 19 ფილმში მიიღო მონაწილეობა, სადაც ცეკვავდა, მღეროდა და უფროს მსახიობებს ღირსეულ პარტნიორობას უწევდა. მიღებული აქვს არაერთი საგანგებოდ მისთვის დაწესებული „პატარა ოსკარები". მოწიფულობის ასაკში წარმატებები აღარ ჰქონია და 1949 წლიდან ჩამოშორდა კინოს. 60-იან წლებიდან დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწეობს, იყო აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი განასა და ჩეხოსლოვაკიაში

**429. დედა ტერეზა**
Mother, Teresa (1910-1997)
**ქველმოქმედი**

დედა ტერეზა (აგნეს გონჯა ბოიაჯიუ) არის ერთ-ერთი მათგანი, ვინც შეძლო კაცობრიობისათვის დაემტკიცებინა, რომ უანგარო ქველმოქმედება ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი და აუცილებელი ნაწილია. მან 1950 წელს ინდოეთში დააარსა მოწყალების კათოლიკური ორდენი, რომლის მეოხებითაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამოქმედდა სკოლები, სამედიცინო პუნქტები თუ ღარიბთა თავშესაფრები. 1979 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

**430. უ ტანი**
Thant, U (1909-1974)
**ბირმელი პოლიტიკოსი**

მოღვაწეობა დაიწყო, როგორც სკოლის მასწავლებელმა. ბირმის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩაერთო პოლიტიკაში. 1957 წლიდან წარგზავნილ იქნა გაეროში, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწია და 1962-71 წლებში ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულება ხვდა წილად.

**431. მარგარეტ ტეტჩერი**
Thatcher, Margaret (1925-)
**ბრიტანელი პოლიტიკოსი**

პირველი უმაღლესი განათლება ოქსფორდის ქიმიის ფაკულტეტზე მიიღო. მოკლე ხანში ჩაერთო პოლიტიკაში, მაგრამ დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია და მეორედ განელო სტუდენტური გზა, ამჯერად იურიდიულ ფაკულტეტზე. 1959 წლიდან კონსერვატორული პარტიის წევრის სახით კვლავ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, 1970-74 წლებში იყო დიდი ბრიტანეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. 1975 წელს სათავეში ჩაუდგა ამ პარტიას, რომლის ლიდერობითაც 1979 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს მიაღწია. 1983 და 1988 წლებში იგი კვლავ აირჩიეს ამ თანამდებობაზე და ამრიგად XX საუკუნეში ყველაზე დიდხანს შეძლო პრემიერ-მინისტრობის ტიტულის შენარჩუნება. თუმცა გარკვეული ეკონომიური არასტაბილურობის შედეგად მისი რეიტინგი დაეცა და იძულებული გახდა მიეტოვებინა პოსტი 1990 წელს.

**432. დილან ტომასი**
Thomas, Dylan (1914-1953)
**უელსელი (ვალიელი) პოეტი და მწერალი**

ითვლება XX საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოეტად. წერდა ინგლისურად. მოღვაწეობა დაიწყო, როგორც ჟურნალისტმა, ლიტერატურული საქმიანობით დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ატლანტიდის ორივე სანაპიროზე, თუმცა მეტისმეტმა ბოჰემურმა ცხოვრებამ მისი ნაადრევი სიკვდილი გამოიწვია. ტომასის შემოქმედება გამოირჩევა ფოლკლორული ტრადიციებისადმი ვალმოხდითაც და მოდერნისტულ მიმდინარეობათა გონივრული გააზრებითაც. გამოცემული აქვს ავტობიოგრაფიული რომანი და ნოველები.


ლევ ტოლსტოი


სპენსერ ტრეისი


მარგარეტ ტეტჩერი


ტიტო

**433. ჯიმ ტორპი**
Thorpe, Jim (1888-1953)
**სპორტსმენი**

ლეგენდარულმა მრავალმხრივმა ათლეტმა ჯიმ ტორპმა 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა როგორც ათჭიდელთა (დეკატლონი) ასევე ხუთჭიდელთა (პენტატლონი) ასპარეზობაში, მაგრამ შემდეგ ჩამოერთვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული, რადგან გაირკვა, რომ მანამდე ნახევრად პროფესიულ კლუბებში თამაშობდა ბეისბოლს. 1920 წლიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

**434. The Supremes**
**ქალთა ტრიო**

სამი შავკანიანი ქალბატონის - მერი ვილსონის, ფლორენს ბალარდის და დაიანა როსის ჯგუფი სტუდენტობის წლებიდან წარმატებით გამოდიოდა აშშ-ს ჩრდილოეთის შტატების სცენებზე. შემდეგ მათი მსმენელთა აუდიტორია გაფართოვდა და 1964 წლისათვის ეს ტრიო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კოლექტივი გახდა.


THE SUPREMES

**435. იოსიპ ბროზ ტიტო**
Tito, Josip Broz (1892-1980)
**იუგოსლაველი პოლიტიკოსი**

იუგოსლავიის პრეზიდენტი 1953 წლიდან, მარშალი. 1915 წელს ტყვეობაში მოხვდა რუსეთში. 1920 წლიდან გახდა იუგოსლავიის კომპარტიის წევრი. 1935-36 წლებში მუშაობდა მოსკოვში, კომინტერნში. 1937 წელს სათავეში ჩაუდგა იუგოსლაველ კომუნისტებს. 1941-45 წლებში იყო იუგოსლავიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარსარდალი. 1948 წელს სსრკ-სთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ სოციალისტური განვითარების საკუთარი მოდელი შექმნა. სათავეში ედგა ქვეყანას სიცოცხლის ბოლო დღემდე.


შერლი ტემპლი

**436. ჰიდეკი ტოჯიო**
Tojo, Hideki (1884-1948)
**იაპონელი პოლიტიკოსი**

ერთ-ერთი უმთავრესი სამხედრო დამნაშავე იაპონიაში. 1940-41 წლებში იყო ქვეყნის სამხედრო მინისტრი. 1941-44 წლებში ასრულებდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის თანახმად სიკვდილით იქნა დასჯილი ტოკიოში.

**437. ჯონ რონალდ რეიელ ტოლკიენი**
Tolkien, J.R.R. (1892-1973)
**ინგლისელი მწერალი**

მწერალი და მეცნიერი. ავტორი ფეერიული ზღაპრისა „ჰობიტი ანუ იქით და აქეთ" (1937 წ). შექმნა ზღაპრულ-სარაინდო ეპიური ტრილოგია „ბეჭდების მფლობელი", რითაც ფაქტიურად საფუძველი დაუდო ლიტერატურის ახალ ჟანრს, ე.წ. „ფენტეზის". გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები ჯეფრი ჩოსერზე და „ბეოვულფზე", საშუალო ინგლისური ენის ლექსიკონი.

**438. ლევ ტოლსტოი**
**რუსი მწერალი**

*(ტოლსტოის შესახებ საუბარი უხერხულია ინგლისურენოვან წყაროებზე დაყრდნობით. მისი პიროვნების წარმოჩენას სხვა დროს შევეცდებით, მით უმეტეს, რომ იგი უფრო XIX საუკუნის შვილია, ვიდრე XX-ის).*

**439. სპენსერ ტრეისი**
Tracy, Spencer (1900-1967)
**მსახიობი**

ცხოვრება დაიწყო იმით, რომ პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე აღმოჩნდა. პირველი სერიოზული როლი 30 წლის ასაკში ითამაშა ჯონ ფორდის ფილმში „მდინარის სათავისკენ". სპენსერ ტრეისი იყო პირველი ჰოლივუდელი, რომელსაც „ოსკარი" ორჯერ ზედიზედ მიენიჭა. გარდა ამისა, კიდევ შვიდჯერ იყო წარდგენილი ამ პრემიის ნომინაციაზე. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისთვის 60-იანი წლები, როცა მან თავისი რეჟისორი - სტენლი კრამერი - იპოვა და მასთან ერთად ეპოქალური მნიშვნელობის ფილმები შექმნა. საქვეყნოდაა ცნობილი მისი სასიყვარულო რომანი კეტრინ ჰეპბერნთან, რაც მრავალი წიგნისა და ფილმის საფუძველი გახდა.

**440. ხუან ტრიპე**
Trippe, Juan (1899-1981)
**ავიაციის პიონერი**

1927 წლიდან 41 წლის განმავლობაში სათავეში ედგა პანამერიკის მსოფლიო ავიახაზებს. მისი მცდელობითა და უშუალო მონაწილეობით შედგა პირველი ტრანსკონტინენტალური გადაფრენები ამერიკიდან, რამაც სათავე დაუდო ავიაციის მთელ შემდგომ განვითარებას.

**441. ლევ ტროცკი**
(1879-1940)
**რუსი პოლიტიკოსი**

მისი ნამდვილი სახელია ლეიბა ბრონშტეინი. დაიბადა უკრაინაში. 1896 წლიდან ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1905-07 წლების რევოლუციის დროს მოიპოვა დიდი ავტორიტეტი, როგორც ორგანიზატორმა და ორატორმა. 1908-12 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „პრავდას". 1917-18 წწ იყო საგარეო საქმეთა ნარკომი, 1918-25 წწ - სამხედრო საქმეთა ნარკომი. მისი ჭიდილი სტალინთან ლიდერობისათვის მარცხით დასრულდა და იგი ჯერ, 1927 წელს, ალმა-ათაში გადაასახლეს და შემდეგ, 1929 წელს სსრკ-დან საერთოდ გააძევეს. 1938 წელს შექმნა მეოთხე ინტერნაციონალი. მოკლულ იქნა მექსიკაში НКВД-ს აგენტის, ესპანელი რ.მერკადერის მიერ.




## ისტორიული ექსკურსი

არქეოლოგებმა ვაშინგტონის შტატის ტერიტორიაზე აღმოაჩინის იმის დამამტკიცებელი ნივთები, რომ ადამიანები აქ 10 000 წლის წინ ბინადრობდნენ. ამერიკელ აბორიგენთაგან ეს ტერიტორიები პირველად **ჩინუკისა** და **ლუმის** ტომის ინდიელებმა აითვისეს, რომლებიც ძირითადად კოლუმბიის პლატოზე ბინადრობდნენ და მონადირეობით ირჩენდნენ თავს. წყნარი ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები ოკანაგონის, იაკიმას და სხვა ტომის წარმომადგენლები კი მეთევზეობას მისდევდნენ.

### პირველაღმომჩენები

პირველი ევროპელები ვაშინგტონის ტერიტორიაზე მე-16 საუკუნეში გამოჩნდნენ, ესენი იყვნენ ესპანელები, რომლებიც წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე რეგიონების შიდა სივრცეების გაცნობას ცდილობდნენ. XVII საუკუნეში ესპანელების კვალადკვალ მდინარე კოლუმბიის სანახებში ინგლისელებიც გამოჩნდნენ და ევროპელთა პირველი დასახლებებიც სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა. 1778 წელს ვაშინგტონის სანაპიროებს კაპიტან ჯეიმზ კუკის ხომალდიც მიადგა. მის კვალს მიჰყვა კაპიტანი ჯორჯ ვანკუვერი, რომელმაც 1792 წელს მთელი რეგიონის აღწერა შეძლო და პირველი რუკაც შექმნა. იმავე წელს ამერიკელმა კაპიტანმა რობერტ გრეიმ კოლუმბიის სათავეებს მიაღწია და მას თავისი გემის სახელი უწოდა.


სიეტლი XIX საუკუნეში

1803 წლის ლუიზიანას გარიგების შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონმა დასავლეთი რეგიონების ათვისება დაიწყო და მის მიერ წარგზავნილმა მოგზაურებმა ლუისმა და კლარკმა პირველებმა შეძლეს აშშ-ს შიდა რეგიონების გავლით წყნარი ოკეანის სანაპირომდე მისვლა და გზად თანამედროვე ვაშინგტონის შტატის მთელი ტერიტორიის გადალახვა.

1811-12 წლებში წყნარი ოკეანის სანაპიროებისაკენ სავაჭრო-სამრეწველო მიზნების მქონე ექსპედიციები დაიძრნენ, რომელთა შორის ინგლისელი და ამერიკელი მეწარმენი ჭარბობდნენ და მათ პირველი კომერციული ობიექტების დაფუძნებაც შეძლეს დღევანდელი პიუჯენტ-საუნდის ყურის ნაპირებზე, რაც დროთა განმავლობაში მჭიდროდ დასახლებულ სამრეწველო რეგიონად იქცა.

1836 წელს კათოლიკე მღვდელი მარკუს უიტმენი და მისი მეუღლე ნარცისა რელიგიური მისიით ეწვივნენ მდინარე კოლუმბიის ნაპირებს და რამოდენიმე ეკლესიის აშენება შეძლეს, რაც გახდა იმის მიზეზი, რომ შტატის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, სწორედ კათოლიკური ეკლესიის აღმსარებელნი არიან. XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან აშშ-მ საბოლოოდ დაიმკვიდრა პირველობა აღნიშნულ რეგიონში.

# ვაშინგტონი

**ვაშინგტონი** (Washington) - მდებარეობს აშშ-ს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კანადის საზღვართან, წყნარი ოკეანის სანაპირო რეგიონში. ჩრდილოეთით ესაზღვრება კანადა, აღმოსავლეთით აიდაჰოს და სამხრეთით ორეგონის შტატები.

ვაშინგტონი ერთადერთი შტატია, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის სახელს ატარებს. მისი გამოცხადება აშშ-ს შემადგენელ ოფიციალურ შტატად მოხდა **1889 წლის 11 ნოემბერს**, როგორც რიგით **42-ე შტატი** სახელმწიფოში.

ვაშინგტონი, გარდა ოფიციალური სახელისა, ცნობილია, აგრეთვე, როგორც „მარადმწვანე შტატი“, ან „ჩინუკების შტატი“.

* * *

შტატის ათვისება ევროპელთა შთამომავლების მიერ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. ახალმოსახლენი მდინარე კოლუმბიის გასწვრივ მდებარე ნაყოფიერ ველებზე და მარადმწვანე ხეებით მდიდარი ტყეების პირას სახლდებოდნენ და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ამჟამად მდინარე კოლუმბია შტატის ძირითად ენერგოწყაროს წარმოადგენს.

* * *

ვაშინგტონი თავის ბუნებრივი მახასიათებლებით ოთხ ძირითად რეგიონად იყოფა (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ): წყნარი ოკეანის სანაპირო, სიერა-კასკადის პროვინცია, კოლუმბიის პლატო და ჩრდილოეთის კლდოვანი მთები.

* * *

შტატის დედაქალაქი **ოლიმპია** წყნარი ოკეანის სანაპირო რეგიონში პიუჯენტ-საუნდის ყურის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს; დაარსებულია 1850 წელს, რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი 1853 წელს გახდა.


ელექტროსადგური მდინარე კოლუმბიაზე

**ვაშინგტონი** wŏsh'ĭng-tən

**ფართობი** - 182,949 კვ.კმ. (70,637 კვ.მილი)
- აშშ-ს სიდიდით მე-19 შტატი.

**მაქსიმალური სიგრძე** - 239 კმ

**მაქსიმალური სიგანე** - 607 კმ

**მოსახლეობა** - 4 900 000 (1990 წ).

**მოსახლეობის სიმჭიდროვე** - 27 ადამიანი 1 კვ. კმ.-ზე

**ადმინისტრაციული ცენტრი** - ოლიმპია.



**დროშა** - *მწვანე ფონზე ლურჯი ყვითელი წრე ჯორჯ ვაშინგტონის პორტრეტით.*




**ღერბი** - *წარწერით* ***The Seal of the State of Washington 1889***



**ფრინველი** - *ჩიტბატონა* ***(Goldfinch);***



**ყვავილი** - *დეკა* ***(Rhododendron)***



**ხე** - *ფიჭვი* ***(Western hemlock).***

**დევიზი** -
*ლათ.* - ***Alki*** *(სამომავლოდ)*
*ინგლ.* - ***Bye and bye***

- ვაშინგტონი 39 ოლქადაა დაყოფილი.

- ეს შტატი აშშ-ში მე-18 ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ.

- 80-იან წლებში აღინიშნა მოსახლეობის დიდი მატება ქალაქების ბინადართა ხარჯზე, სადაც ახლა შტატში მცხოვრებთა 76% ცხოვრობს.

- შტატის მოსახლეობის 85,5%-ს თეთრკანიანები შეადგენენ, ფერადკანიანთაგან ჭარბობენ აზია-ოკეანეთიდან გამოსულები (4,3 %), ზანგები - 3,1 %, აბორიგენი ამერიკელები - 1,7 %.

- ვაშინგტონის შტატის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კათოლიკური აღმსარებლობისანი არიან, მცირე რაოდენობით გვხდება, აგრეთვე, სხვადასხვა რელიგიური განშტოებების წარმომადგენლებიც (პროტესტანტები, ლუთერანელები, ბაპტისტები.

- ვაშინგტონის უდიდესი ქალაქებია: სიეტლი (520 000), სპოკანი (370 000), ტაკომა (180 000), ბილივიუ (90 000), ევერეტი (70 000), იაკიმა (55 000), ბელინჰემი (52 000), ვანკუვერი (47 000), კენევიკი (43 000), ოლიმპია (34 000).

**სიეტლი** ვაშინგტონის შტატის მთავარი პორტი და სამრეწველო ცენტრია.

მდებარეობს ელიოტის უბის პიუჯენტ-საუნდის ყურეში, კანადის საზღვრიდან 180 კილომეტრში. დაარსებულია 1852 წელს და სახელი ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ბელადის **Sealth**-ის საპატივცემლოდ ეწოდა.

ამჟამად არის საავიაციო წარმოების უმსხვილესი ცენტრი, რომლის გარეუბნებში უკვე თითქმის 3 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს.






# მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

## გამოშვება №42

გრეის კელი (**Grace Kelly**) დაიბადა 1929 წლის 12 ნოემბერს ფილადელფიაში.

იმხანად მამამისი, ჯეკ კელი, ქალაქის ნამდვილი გმირი იყო. მის მიმართ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ თანამოქალაქენი. დაიწყო რა უბრალო კალატოზად მუშაობა, ჯეკი მალე გახდა საკუთარი ფირმის - „კელი. აგურის სამუშაოები“ - მფლობელი. სწორედ ამ ფირმამ გახადა მომავალი პრინცესას მამა მილიონერი. გარდა ამისა, ეს კაცი თავგამოდებული სპორტსმენი გახლდათ და 1920 წელს ოლიმპიური ჩემპიონიც კი გახდა ნიჩბოსნობაში, რამაც მისი პოპულარობა ერთი ათად გაზარდა. იგი საკუთარ ოთხ შვილსაც ნამდვილ სპორტსმენებად ზრდიდა და პირველი მწვრთნელიც თავად გახლდათ მათი.

მისი მეუღლე, მარგარეტ მაიერი, ნამდვილად შეეფერებოდა სახელოვან ქმარს თავისი მშვენიერებით - ეს იყო მაღალი, წარმოსადეგი ქერათმიანი ქალი, სათნო გამომეტყველებით და მტკიცე ხასიათით. მარგარეტი წარმოშობით გერმანელი იყო, მაგრამ გათხოვების შემდეგ ქმრის კათოლიკური აღმსარებლობა მიიღო და შვილებსაც რელიგიური სულისკვეთებით ზრდიდა.

* * *

პატარა გრეისს განსაკუთრებით მამა უყვარდა და მუდამ ცდილობდა მიებაძა მისთვის, მაგრამ მტკიცე ხასიათი და დასახული მიზნისათვის ბრძოლა ნამდვილად დედისაგან დაჰყვა.

ბუნებით კი გულჩათხრობილი და მეოცნებე ბავშვი ყოფილა და საათობით შეეძლო თურმე განმარტოებულს ეთამაშა თავის თოჯინებთან და მათთვის ნაირგვარი ამბები და პიესები შეეთხზა. მაგრამ, როგორც ითქვა, მამა სპორტულ გართობებს არ აკლებდა, მით უმეტეს, რომ გრეისი საოცრად მოქნილი და ელასტიური იყო, ამიტომაც მოწიფულ ასაკში სერიოზულადაც კი გაჰყვა ერთხანს ტანვარჯიშს.

თუმცა მარტოობა და თავგადასავლების თხზვა უფრო იტაცებდა ჩვენი თხრობის გმირს, რასაც უდავოდ ხელს უწყობდა ბიძამისი, მსახიობი და დრამატურგი ჯორჯ კელი, რომლის ხელშეწყობითაც გადაეშვა იგი თეატრალურ სამყაროში, მაგრამ მანამდე სკოლა უნდა დაემთავრებინა, სადაც გოგონა 1934 წელს მიაბარეს. ეს იყო ნახევრად სასულიერო დანიშნულების სასწავლებელი, რასაც მეტად ამბიციური სახელი „ღვთისმშობლის აკადემია“ ერქვა და სადაც უმთავრესად დახვეწილი მანერების შესწავლაზე იყო გადატანილი ყურადღება.

გასაკვირი არაა, რომ გრეისი თავისი მორჩილებითა და ზრდილობით გამოირჩეოდა, თუმცა რაიმე საგანგებო სწრაფვა მეცნიერებებისადმი მას არ გააჩნდა (...და არც არავინ აძალებდა) და მთავარი, რაც ამ „აკადემიიდან“ გამოიტანა, იყო უსაზღვრო რწმენა რელიგიური მოძღვრებებისა და სწავლებებისადმი.

### თუმცა...

ყველა ამჩნევდა, რომ ამ უკარება და ცივი გოგონას ბუნებაში რაღაც ეშმაკი იმალებოდა, რაც აუცილებლად იჩენდა თავს... ოდესმე. ამასობაში მას გარდატეხის ასაკიც დაუდგა, ამასობაში მამამისიც დარწმუნდა, რომ ზედმეტ რელიგიურობას ზედმეტი სპორტულობა სჯობდა და სწავლების მერვე წელს გოგონა „აკადემიიდან“ გამოიყვანეს, თუმცა მთელი დანარჩენი ცხოვრების მანძილზე გრეისს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი „დებთან“ და აღსარებისთვისაც მხოლოდ თავისი ბავშვობის მოძღვარ-მასწავლებლებთან დაიარებოდა.

### 14 წლის ასაკში

გრეის კელი სხვა სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მას საშუალება მიეცა თავის თანატოლ ბიჭებთან ჰქონოდა ურთიერთობა, თუმცა რაიმე საგანგებო ყურადღების ცენტრში არ მოხვედრილა, რადგან ამ ასაკში იგი მორცხვი, გამხდარი, სათვალიანი გოგონა გახლდათ, რითაც „(ჯერ კიდევ) ბრიყვი ბიჭუნების“ მოხიბვლა, დაგვეთანხმებით, შეუძლებელია, მაგრამ ეს საკითხი არ აღელვებდა გრეისს, რადგან იმ ეშმაკმა (ზემოთ რომ ვახსენეთ) სამზეოზე გამოსვლა ინება და გოგონას სამსახიობო გართობა-გატაცებისაკენ გაუფრიალა გონება. ჰოდა, მოხდა ის საოცრება, რაც ნიჭიერებას აუცილებლად სჭირდება ასამოქმედებლად, ანუ გრეის კელიმ პირველად იგრძნო, რომ სცენა და მასთან დაკავშირებული სამყარო არის ის გარემო, სადაც იგი თავისუფლად გარდაიქმნება სხვა ადამიანებად, რის გაკეთებასაც ვერასოდეს ახერხებდა ცხოვრებაში. ამიტომაც გადაწყვიტა მტკიცედ... — მსახიობი უნდა გავხდე!

...ამასობაში კი, როგორც ემართებათ ხოლმე ქალებს, გარდატეხის ასაკის დასრულების შემდეგ, გრეის კელი მთელ ქალაქში უმშვენიერეს ყმაწვილქალად გადაიქცა.

...ამასობაში ის „ბრიყვი ბიჭუნებიც“ ჭაბუკებად ჩამოყალიბდნენ და 16 წლის გრეისს კარზე თაყვანისმცემელთა რიგი დაუდგა!

ყოველივე ამას კი მეტისმეტი ყურადღებით აკონტროლებდა ჯეკ კელი (უკვე მილიონერი მამამისი!), რომელიც უბრალო პაემანზე სიარულს არ უშლიდა შვილს, მაგრამ თუკი ვინმე რასმეს ზედმეტს მოისურვებდა და ცოლად შერთვას დაუპირებდა მის საგანძურს (...თითქოს მამასაც სჯეროდაო, რომ ეს გოგონა პრინცესა უნდა გამხდარიყო!), ყველა გზა და კარი იგმანებოდა და თავხედი თაყვანისმცემელი იქაურობას სამუდამოდ შორდებოდა.

თუმცა არც გრეისს აკლდა კეთილგონიერება და არასოდეს გაიმეტებდა თავს ვინმე მეწვრილმანე სტივენის თუ კრივენისათვის, რადგან მას სხვა მომავალი ელოდა...

აკი მოგახსენეთ — ეშმაკი სამზეოზე გამოვიდა!...

### 1947 წელს...

გრეის კელიმ საბოლოოდ დაასრულა დაწყებითი სწავლა-განათლების მიღება, მაგრამ რაიმე კონკრეტული, ახლოსამომავლო მიზანი კვლავაც არ გააჩნდა. ამა თუ იმ სამეცნიერო კოლეჯში სწავლის გაგრძელებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, რადგან იქ მას ტყუილად უნდა დაეკარგა დრო (...რასაც ამერიკაში უფრთხილდებიან!), ამიტომაც მისი სახელოვანი ბიძის რჩევითა და რეკომენდაციით უკვე ქალიშვილობაში გადასული გრეისი ამერიკის დრამატული ხელოვნების აკადემიის მიმღებ კომისიას წარუდგინეს, სადაც მას, მართალია, შემწყნარებლურად მოუსმინეს, მაგრამ მაინც ჩარიცხეს, რადგან ამ შეუბღალავი მშვენიერების წინაშე თვით გულქვა პროფესორებიც საკუთარ უსუსურობას გრძნობდნენო... თითქოს.

ასე რომ, გრეის პატრისია კელიმ პირველი ნამდვილი ნაბიჯი გადადგა სამსახიობო ხელოვნებისკენ და...

ნიუ-იორკში, ეს მორცხვი და მორიდებული გოგონა, საზოგადოების მოყვარულ, თვალებაბრიალებულ ქალად იქცა, რომლის წვევაც ყველა თავყრილობისათვის საამო და საპატიო იყო. აქვე და ამასობაში პირველი მიჯნურიც გაიჩინა, მაღალი და წარმოსადეგი თანაკურსელი ჰერბი მილერი, რომლის დაპყრობამ კიდევ უფრო მყარი პრესტიჟი შეუქმნა აკადემიის სტუდენტთა თვალში. ნიუ-იორკი კი კიდევ იმითაა საოცარი თურმე, რომ ამ ქალაქში სრულიად მოულოდნელად შეიძლება ფოტომოდელიც გახდე (რატომაც არა?!), რის დასტურიც ჟურნალ „კოსმოპოლიტენის“ გარეკანზე მოხვედრაა. მას სთხოვდნენ რეკლამა გაეწია ამა თუ იმ სიგარეტის თუ საცვლებისათვის და გრეისიც სიამოვნებით თანხმდებოდა ამაზე, მით უმეტეს, რომ ასეთ გასართობს დიდი ფულიც მოჰქონდა. ამ ფულს კი იგი მამას უგზავნიდა, ვისაც ქალიშვილის ჩარევის გარეშეც შეეძლო სწავლის ხარჯები დაეფარა, მაგრამ გრეისი, და-ძმისაგან განსხვავებით, ყველაფრის გაკეთებას თავად ცდილობდა და არ სურდა ვალში დარჩენოდა მშობელ (მილიონერ) მამასაც კი!

გრეის კელი - საოცარი, ძლიერი და შეუბღალავი რეპუტაციის მქონე პიროვნება XX ასწლეულისა.

მან შეძლო აესრულებინა ბავშვობის ყველა ოცნება.

მან მსოფლიო აღიარება მოიპოვა - გახდა ეკრანის ნამდვილი ვარსკვლავი და ცოლად გაჰყვა ნამდვილ პრინცს.



ერთი სიტყვით, იმდენად ზღაპრულად და ჯადოსნურად მიემართებოდა მისი ცხოვრების გზა მწვერვალებისაკენ, რომ ნაცნობ-ახლობლებს, შურის ნაცვლად, შიშის გრძნობაც კი უჩნდებოდათ და ყველაფრის გამართლებას მის ფანტასტიურ მშვენიერებაში ეძებდნენ.

1948 წელს აკადემიის მკაცრმა პროფესორებმა გაცხრილეს სტუდენტები და დაიტოვეს მხოლოდ ისინი, ვისგანაც დიდ წარმატებას ელოდნენ (აკი გითხარით - დროს უფრთხილდებიან). რჩეულთა შორის იყო გრეის კელიც და იგი დონ რიჩარდსონის ჯგუფში ჩარიცხეს.

ეს ვიღაც რიჩარდსონი არავის დაამახსოვრებოდა ამქვეყნად, რომ არა გრეის კელისთან გაბმული მოულოდნელი რომანი და ის, რომ გრეისმა მასთან ქორწინებაზე თანხმობა გამოთქვა.

დიახ, ეს კაცი მიზანდასახული, ნიჭიერი პროფესიონალი გახლდათ, მაგრამ ისტორიას მაინც იმით შემორჩა. რომ პირველმა განიზრახა სერიოზულად გრეის კელიზე ქორწინება და თანხმობაც მიიღო, თუმცა ამას წინ აღდუგნენ ფილადელფიაში მცხოვრები მშობლები: მამამ, ჯეკ კელიმ, ზედაც

არ შეხედა ამ „პროფესიონალ მსახიობს“, დედამ კი სადღაც გამოჩხრიკა, რომ ეს დონ რიჩარდსონი ჯერაც ქორწინებაში იმყოფებოდა თავის პირველ (?) ცოლთან და, ბუნებრივია, ქალიშვილს მასთან კავშირის ქონა აუკრძალა.

გრეისი პირველად დაუპირისპირდა დედმამას, მაგრამ მშობლებმა თავისი გაიტანეს და უთხრეს მას, რომ ნიუ-იორკში აღარ გაუშვებდნენ...

**ეს მოხდა 1949 წელს**

გრეის კელის სიყვარული წაუხდა...

ამავე წელს იგი პენსილვანიის თეატრში მიიწვიეს. 20 წლის გრეისმა ნამდვილი დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო... ყველანაირად!

1949 წელს გრეის კელის ცხოვრებაში გამოჩნდა პირველი ნამდვილი (...და მერე როგორი ნამდვილი!) მონარქი – თავად მოჰამედ რეზა ფეჰლევი - **ირანის შაჰი!**

ირანის შაჰმა გრეისს ცოლობა სთხოვა!

...მაგრამ გრეისმა შაჰის ცოლობას „არ გამოჰკრა ხელი“, რადგან მასზე მეტად თეატრი უყვარდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თეატრალური ხელოვნების მესვეურნი მანცადამაინც ვერ ახერხებდა მისი ნიჭისა და მშვენიერების წარმოჩენას და, მადლობა ღმერთს, ამასობაში იშვა და მომძლავრდა მისი უდიდებულესობა ტელევიზია, რომლის „ახლო პლანებსაც“ ნამდვილად გრეის კელის მსგავსი მზეთუნახავები სჭირდებოდა.

1950-53 წლებში გრეის კელიმ თითქმის სამოც ტელესერიალში მიიღო მონაწილეობა და მთელი ამერიკის საამბო და სათაყვანებელი ქალი გახდა. უფრო სწორად - „ვარსკვლავი“, რომლის ადგილიც იმხანად მხოლოდ ჰოლივუდი იყო.

**ჰოლივუდში!**



პირველ ფილმში 1951 წელს მიიღო მონაწილეობა. 1952 წელს კი ამ ფილმმა ყველა „ოსკარი“ მოიგო და გრეის კელი (მერილინ მონროს ეპოქის დადგომამდე) ჰოლივუდის ყველაზე ძვირადღირებულ ვარსკვლავად იქცა.

1955 წელს იგი კიდევ ერთხელ წარდგინეს „ოსკარზე“, როგორც ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი ფილმისათვის „სოფლელი გოგონა“ და მან ეს პრემია დაიმსახურა კიდეც, თუმცა თავად ამ როლს საუკეთესოდ არ მიიჩნევდა. ასე და ამრიგად ამერიკის სუპერვარსკვლავად ქცეული კელი ამ ქვეყნის დელეგაციას ჩაუყენეს სათავეში, რომელსაც კანის ფესტივალში უნდა მიეღო მონაწილეობა.

ამ ფესტივალის ოფიციალური საცერემონიო ნაწილში გათვალისწინებული იყო ერთი ფორმალური მომენტი - მონაკოს პრინც რენიესთან სტუმრობა თავაზიანობის დასადასტურებლად. თავად გრეისს ეს ვიზიტი დიდად არ მოსწონდა, მაგრამ ჟურნალ „პარი მატჩის“ გარეკანზე მოხვედრა ფრიად პრესტიჟული გახლდათ და (...სწორედ ამ ჟურნალმა მოაწყო ეს ვიზიტი) გრეისმაც დახარა თავი „კომერციული წინადადების“ წინაშე.

**შეხვედრა შედგა**

გრეის კელიმ და მონაკოს პრინცმა რენიე III-ემ ერთმანეთს ჩამოართვეს ხელი და ჟურნალის გარეკანისათვის გაუღიმეს კიდეც ურთიერთს.

ასე და ამრიგად, 1955 წლის მაისიდან ამ ორ პიროვნებას შორის გაცხოველებული მიმოწერა დაიწყო. რენიე მოხიბლული იყო იმით, რომ ეს უმშვენიერესი მსახიობი ქალი, სხვა ვარსკვლავებისაგან განსხვავებით, უაზროდ არ იპრანჭებოდა და თავი ღირსეულად ეჭირა, გრეისს კი ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი ცხოვრება იცნობდაო ამ კაცს.

**სხვა რა უნდა სიყვარულს?!**

1955 წლის მთელი ზაფხული მძიმე ფიქრებში გაატარა გრეისმა. იგი ხვდებოდა, რომ მიღებული „ოსკარი“ მისი შემოქმედების მწვერვალი იყო, რომ თავქარიანი რომანების გაგრძელება აღარ შეიძლებოდა; გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა ცხოვრებაში; ესმოდა, რომ მისი მეგობრები ერთმანეთის მიყოლებით თხოვდებოდნენ; ხედავდა, რომ მერილინ მონრო მოდიოდა კინოში...

ამასობაში პრინცმა რენიე III-ემ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, რომ „შესაბამისი მიზნით“ გრეისის მამას სწვეოდა ფილადელფიაში. მით უმეტეს რომ იგი უკვე 30 წელს გადაცილებული კაცი იყო და მონაკოს დინასტიური აუცილებლობა მისგან მემკვიდრის შექმნას ითხოვდა. ამ მიზნებისათვის კი გრეის კელიზე უკეთესი ქალი მას ამქვეყნად არ ეგულებოდა.



1955 წლის 25 დეკემბერს რენიე III თავის ამალით ჯეკ კელის სახლს ეწვია და ოფიციალური სურვილი გამოთქვა მის ქალიშვილზე ქორწინებისა. ფილადელფიელი მილიონერს რომ მოესურვა, მაინც ვეღარ აღუდგებოდა წინ ამ ქორწინებას, რადგან აქ მოქმედებდნენ არა მანიაკალურ-ამბიციური მისწრაფებანი, არამედ ჭეშმარიტი სიყვარულის ანგელოზები და გრეისის მშვენიერ ბაგეებსაც, თითქოს უნებლიედ, მაგრამ მტკიცედ წამოსცდა – **„თანახმა ვარ!“**

1956 წლის 4 აპრილს გრეის კელი ხომალდ „კონსტიტუციით“ ამერიკიდან მონაკოში გაემგზავრა. ქორწილის ცერემონიალის გამართვა პრინცის პირად სამფლობელოში იყო განზრახული.

ქორწილი 1956 წლის 18 აპრილს შედგა.

გრეისმა თავად აირჩია საკუთარი ცხოვრების გზა და სხვაგან აღარსად ერთი ნაბიჯის გადადგმასაც აღარ აპირებდა.

მან აისრულა ოცნება, ცოლად გაჰყვა ნამდვილ უფლისწულს, ვისზედაც ყველა გოგონა ოცნებობს ბავშვობაში!

* * *

თაფლობის თვე ხმელთაშუაზღვისპირეთის შემოღვლაში გაატარეს. მონაკოში დაბრუნებულებს ექიმებმა დაუდასტურეს, რომ პრინცესა გრეის კელი ფეხმძიმედ იყო. ზუსტად ცხრა თვეში იშვა კაროლინა ლუიზა მარგარიტა.

რენიე III-ეს კი ვაჟი უნდოდა და არც ამაში გაუტეხა გული მეუღლემ - ორი წლის შემდეგ მონაკოს ტახტს ღირსეული მემკვიდრე ალბერ ალექსანდრ ლუი პიერი აჩუქა.

რენიემ ბედნიერების მწვერვალები დალაშქრა.

* * *

1960 წელს გარდაიცვალა ჯეკ კელი, რაც დიდი ტრავმა იყო მისი მოყვარული ქალიშვილისთვის, და მან დედა და და-ძმა მონაკოში მიიწვია, სადაც ჰოლივუდის ვარსკვლავის ყოფნა და ცხოვრება ტურისტთა უზომო ნაკადის ჩასვლას განაპირობებდა, ეს კი ამ ჯუჯა ქვეყნის ფინანსური წინსვლის წინაპირობა იყო.

გრეისმა აქტიური საქველმოქმედო საქმიანობას წამოიწყო და მისი ხელშეწყობით მონაკოს წითელი ჯვარი მთელი მსოფლიოს ბავშვებს - პერუდან პაკისტანამდე - უწევდიდა დახმარების ხელს.

1965 წელს დაიბადა მთელი ოჯახის საყვარელი პრინცესა - სტეფანია მარია ელიზავეტა.

1967 წელს ოჯახი კიდევ ერთ შემატებას ელოდა, მაგრამ ამჯერად ნაყოფი დედის საშოშივე მოკვდა და ლამის ტრაგიკულად დასრულდა ნამდვილი ვარსკვლავის და ნამდვილი პრინცესას ცხოვრება.

* * *

1982 წლის 13 სექტემბერს გრეისი თავის უმცროს ქალიშვილ სტეფანიასთან ერთად მონაკოში გამგზავრებას აპირებდა. ამ დროისათვის სტეფანია უკვე 17 წლის იყო და რატომღაც სპორტული ავტომანქანების შეჯიბრში მონაწილეობის სურვილი დასჩემებოდა. გრეისმა თავად გადაწყვიტა საჭესთან დაჯდომა, რათა გზად ქალიშვილთან სერიოზული საუბარი გაება. მან იცოდა, რომ დიდი ვერაფერი მძღოლი იყო და გზაც რომ სახიფათო იყო, მაგრამ მაშინ, ამის შესახებ კი არა, გზასაცდენილი ქალიშვილის ბედზე ფიქრობდა...

თუმცა გზას თავად გრეისი ასცდა...

მონაკოს სერპანტინად დახვეული გზა იქცა გრეისის საბედისწერო შეცდომად. ერთ-ერთ მოსახვევში მან ვერ დაიმორჩილა საკუთარი „როვერი“ და ქალიშვილთან ერთად 45 მეტრი სიღრმის ხევში გადაიჩეხა.

დედა-შვილი საავადმყოფოში მოათავსეს. სტეფანია მხოლოდ მცირეოდენ დაშავდა.

* * *

სამშაბათს 14 სექტემბერს ექიმმა შატლენმა გრეისის ქმარ-შვილს განუცხადა, რომ ქალის მდგომარეობა უიმედოა და ისინი იძულებულნი არიან ხელოვნური კვების აპარატი გამოთიშონ.

ასე და ამრიგად, გრეის პატრისია კელი, მისი უბრწყინვალესობა, თავადი გრეის მონაკოელი 1982 წლის 14 სექტემბერს, 52 წლის ასაკში აღესრულა.

ამბობენ - მთელი მონაკო ტიროდაო იმ დღეს!

თავისი 52-წლიანი ცხოვრებით გრეის კელი ერთგვარ თილისმად იქცა მთელი თავისი თაობისათვის. იგი ერთგვარ ხატად თუ მის მაგვარ მცნებად შემორჩა ისტორიას.

მისი სახელი მითებითა და ლეგენდებით შეიმოსა, რადგან მას არასოდეს უღალატია თავისი ოცნებისათვის და დიდება ღირსებისამებრ დაიმსახურა.

**საკროსვორდო ტურნირი რუსული კროსვორდის მოყვარულთათვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **Мамулашвили Коба** | 20 | 20 | *18* | 19 |
| **Чхенкели Лали** | 20 | 20 | 20 | 20 |
| **Бубашвили Зизи** | 20 | 20 | *18* | 20 |
| **Гигани Кетеван** | 20 | - | 19 | - |
| **Нанава Вахтанг** | 20 | 13 | - | - |
| **Урушадзе Нино** | 20 | 20 | *17* | 20 |
| **Кусрадзе Лиана** | 20 | 20 | 20 | 20 |
| **Сеситашвили Зураб** | 20 | 19 | *19* | - |
| **Бохашвили Джабу** | 20 | *19* | 20 | 20 |
| **Гиоргадзе Натия** | 20 | 19 | 19 | *18* |
| **Сехбосян Лида** | 19 | 20 | 20 | *18* |
| **Петросян Лия** | 18 | 19 | *17* | 20 |
| **Краснобаева Вера** | 18 | 20 | *16* | 18 |
| **Капанадзе Гиви** | 18 | 19 | *15* | 19 |
| **Гигаури Ираклий** | 17 | 17 | - | - |
| **Гогодзе Александр** | 16 | 17 | *15* | 16 |
| **Горгадзе Нели** | - | 20 | 20 | 20 |
| **Князь** | - | 20 | 18 | 17 |
| **Акубардия Лиле** | - | 20 | 20 | 20 |
| **Сухашвили Нана** | - | 19 | 19 | 20 |

- გასულ ტურში გაიპარა ერთი შეცდომა - მეოთხე და მეხუთე საპრიზო კითხვები უბრალოდ გადასაადგილებელი იყო, თუმცა ამან მნიშვნელოვანი კორექტივები არ შეიტანა ტურნირში, რადგან ჩვენ საუბრის პროცესში ვასწორებდით შეცდომას.

- მონაწილეთა უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი, რომ თანაბარქულიან მოთამაშეებს შორის არ გაიმართოს დასწრებული მატჩები და გამოქვეყნდეს დამატებითი კითხვები, რასაც, ალბათ 30 აგვისტოს, პარასკევის ნომერში გავაკეთებთ.

- დასკვნით ეტაპზე, ანუ დამატებით ვიქტორინაში, შესაძლოა, დავუშვათ ისინიც, ვისაც 1-2 ქულით ნაკლები ექნება ლიდერებთან შედარებით, ოღონდ მინიმუმ ოთხ ტურში მონაწილეობის მიღება აუცილებელია.

- დაველოდოთ ბოლო, მძიმე ტურს.

## უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი

**გრანი** - ძველებური სააფთიაქო წონის ერთეული (=0,062 გრამს).
**გრანი** ლიუსილ - დანიელი ბალერინა (XIX-XX სს).
**გრანიკოსის** ბრძოლა - ალექსანდრე მაკედონელის პირველი დიდი ბრძოლა სპარსელთა წინააღმდეგ მდ. გრანიკოსთან ძვ.წ. 334 წელს.
**გრან-კანარია** - კანარის კუნძულებში შემავალი კუნძული ატლანტის ოკეანეში.
**გრანინი** დანიილ - რუსი მწერალი (XX საუკუნე).
**გრანიტი** - მაგარი კრისტალური ქანი.
**გრანიტი** რაგნარ არტურ - შვედი ნეიროფიზიოლოგი (XX საუკუნე).
**გრანიტიზაცია** - დედამიწის ქერქში მიმდინარე ბუნებრივი პროცესები, რომელთა შედეგად ქანები გარდაიქმნება გრანიტოიდულ მინერალურ და ქიმიური შედგენილობის ქანებად.
**გრანიტოიდები** - გრანიტის რიგის ინტრუზიული ქანების საერთო სახელწოდება.
**გრანიტოლი** - იგივეა, რაც დერმატინი.
**გრანიუსი** ლუცინიანე - რომაელი ისტორიკოსი.
**გრანმა** - 1) კუბის კომუნისტური პარტიის ყოველდღიური გაზეთი. 2) სახელი იახტისა, რითაც 1956 წლის დეკემბერში კუბელი რევოლუციონერები მექსიკიდან კუბაში გადავიდნენ.
**გრანმეზონი** ლუი - ფრანგი სამხ. თეორიტიკოსი, გენერალი (XIX-XX სს).
**გრან პა** - ბალეტში: საერთო შინაარსით გაერთიანებული მრავალნაწილიანი საცეკვაო ფორმა.
**გრანპასიანსი** - პასიანსის სახეობა.
**გრან პრი** (დიდი პრემია) - ფესტივალების უმაღლესი ჯილდო.
**გრანჟარი** ანრი - ფრანგი ლიტერატურათმცოდნე (XX საუკუნე).
**გრანჟე** ლუი - ფრანგი იეზუიტი მღვდელი, აქვს ცნობები საქართველოს შესახებ (XVII ს).
**გრან-სასო-დ'იტალია** - მთათა სისტემა იტალიაში.
**გრანსონის** ბრძოლა - 1476 წ 2 მარტის ბრძოლა შვეიცარიის ქალაქ გრანსონთან ბურგუნდიის ჰერცოგ შარლ გულადის ჯარსა და შვეიცარიელებს შორის.
**გრანტი** 1) კერი (არჩიბალდ ალექსანდრ ლიჩი) - ამერიკელი მსახიობი. 2) ულის სიმფსონ - აშშ-ს მე-18 პრეზიდენტი (XIX საუკუნე). 3) ჯეიმზ ოგასტეს - ინგლისელი მოგზაური (XIX საუკუნე). 4) ჰიუ - ინგლისელი მსახიობი. 5) ჟიულ ვერნისეული კაპიტნის გვარი რომანში „კაპიტან გრანტის შვილები“.
**გრანტსი** - ქალაქი აშშ-ს ნიუ-მექსიკოს შტატში.
**გრანტსი** (ეკაბსონი) იანის - ლატვიელი მწერალი (XX საუკუნე).
**გრანულა** - რაიმე ნივთიერების წვრილი მკვრივი გუნდა.
**გრანულარი** - მარცვლოვანი.
**გრანულაცია** - 1) რაიმე ნივთირებისადმი მარცვლის ფორმის მიცემა. 2) მზის ზედაპირის ხილული მარცვლოვნობა.
**გრანულომა** - ქსოვილის სიმსივნისმაგვარი ზრდა.
**გრანულოციტები** - სისხლის თეთრი უჯრედები, რომლებიც პროტოპლაზმაში შეიცავენ მარცვლებს.
**გრან-ჩაკო** - ბუნებრივი არე სამხრეთ ამერიკაში.
**გრანცი** - ქალაქ ზელენოგრადსკის სახელი 1946 წლამდე (კალინინგრადის ოლქი, რუსეთი).
**გრაპტოლითები** - ამომწყდარ ზღვის კოლონიურ ცხოველთა ქვეტიპი ნახევრადქორდიანების ტიპისა.
**გრაპოვი** (გრაპო) - გერმანელი ეგვიპტოლოგი.
**გრასი** - ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში.
**გრასი** 1) გიუნტერ - გერმანელი მწერალი (XX საუკუნე). 2) ჯოვანი ბატისტა (იტალიელი ზოოლოგი (XIX-XX სს).
**გრასიან ი მორალესი** ბალტასარ - ესპანელი მწერალი და ფილოსოფოსი (XVII ს).
**გრასირება** - „რ“ ბგერის წარმოთქმა ფრანგულ ყაიდაზე.
**გრასმანი** ჰერმან - გერმანელი მათემატიკოსი (XIX საუკუნე).
**გრატა** - ყანის ჩიტი ბეღურასებრთა ოჯახისა.
**გრატანი** ჰენრი - ირლანდიის პოლიტ. და საზოგადო მოღვაწე -XVIII-XIX სს).
**გრატაჟი** - ნახატის შექმნა კალმის ან სხვა წვეტიანი საგნის ფხაჭნის საშუალებით.
**გრატიფიკაცია** - დაჯილდოება.
**გრატუარი** - ფოლადის საფხეკი, რასაც მხატვრები იყენებენ ზედაპირის მოსასწორებლად.
**გრაუვაკა** - მუქი ნაცრისფერი, შავი ან მომწვანო ნაცრისფერი მკვრივი მარცვლოვანი დანალექი ქანი.
**გრაური** ალექსანდრუ - რუმინელი ენათმეცნიერი.
**გრაუ სან-მარტინი** რამონ - კუბის პრეზიდენტი 1933-34 წლებში.
**გრაფა** - მანძილი ორ ხაზს შუა ვერტიკალურ სვეტებში.
**გრაფეკონი** - დამახსოვრების უნარის მქონე ელექტრულ-სხივური მოწყობილობა.
**გრაფემა** - წერითი მეტყველების უმცირესი განუყოფელი ნიშნადი ერთეული.
**გრაფენაუერი** ბოგო - იუგოსლავიელი ისტორიკოსი (XX საუკუნე).
**გრაფი** - ევროპელ აზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული.
**გრაფი** 1) ანტონ - შვეიცარიელი ფერმწერი (XVIII-XIX სს). 2) ოსკარ მარია - გერმანელი მწერალი (XX საუკუნე). 3) შტეფი - გერმანელი სპორტსმენი ქალი, ჩოგბურთელი (XX-XXI სს).
**გრაფია** - რთული სიტყვების ბოლოსართი; ნიშნავს აღწერას, ჩაწერას, დაწერას.
**გრაფიკა** - 1) მხატვრობის დარგი. 2) ხელნაწერი ან ნაბეჭდი ნიშნების, ასოების მოხაზულობა.
**გრაფიკი** - 1) დიაგრამა, ნახაზი. 2) ტრანსპორტის მუშაობის დაწვრილებითი გეგმა.
**გრაფიკოსი** - მხატვარი, გრაფიკის ოსტატი.
**გრაფიკული** - გრაფიკასთან დაკავშირებული.
**გრაფინი** - მინის ყელიანი ჭურჭელი.
**გრაფინია** - გრაფის ცოლი ან ქალიშვილი.
**გრაფისტი** - გრაფიკის შედგენის სპეციალისტი.
**გრაფიტი** - 1) მოშავო რბილი მინერალი, იყენებენ ფანქრების და ცეცხლგამძლე ჭურჭლის დასამზადებლად. 2) ძველი წარწერა საყოფაცხოვრებო ხასიათისა ანდა ნახატი, ამოკაწრული შენობის კედლებზე.
**გრაფიტო** - მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის სახეობა, იგივე *სგრაფიტო*.
**გრაფო** - რთული სიტყვების შემადგენელი ნაწილი, აღნიშნავს მიმართებას წერასთან.
**გრაფოლოგი** - პირი, რომელიც გრაფოლოგიას მისდევს.
**გრაფოლოგია** - თეორია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ადამიანის ხელნაწერის მიხედვით მისი ხასიათის დადგენა.
**გრაფომანი** - გრაფომანიით შეპყრობილი ადამიანი.
**გრაფომანია** - ავადმყოფური მისწრაფება წერისადმი, მთხზველობა.
**გრაში** (გრიგორიანი) აშოტ - სომეხი პოეტი (XX საუკუნე).
**გრაჩანიცა** - XIV საუკუნეში დაარსებული მონასტერი სერბიის ქალაქ პრიშტინის მახლობლად.
**გრაჩევი** პაველ - რუსეთის თავდაცვის მინისტრი 1992-96 წლებში.
**გრაჩი** ედუარდ - რუსი მუსიკოსი, მევიოლინე.
**გრაცი** - ქალაქი ავსტრიის შტირიის მხარეში.
**გრაცია** - სინარნარე, მოხდენილობა მიმოხვრაში.
**გრაციანე** ფლავიუს - რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილის იმპერატორი (IV ს).
**გრაციანი** როდოლფო - ფაშისტური იტალიის მარშალი (XX საუკუნე).
**გრაციები** - რომაულ მითოლოგიაში: ახალგაზრდობის, სილამაზისა და მხიარულების სამი ქალღმერთი (იგივე ქარიტები).
**გრაციოზული** - გრაციით აღსავსე, ნარნარი.
**გრახტი** - ჰოლანდიის ქალაქებში: არხი, ქუჩა არხის გასწვრივ.
**გრდემლი** - 1) რკინის საყრდენი ლითონის გამოსაჭედად. 2) XX ს დასაწყ. ქართული ლიტ. კრებული და ჟურნალი.
**გრე** - სიგრძის საზომი ერთეული შუა სს ირანში, უდრიდა ქართულ *ვოჯეულს*.
**გრებე** კარლ - გერმანელი ქიმიკოსი (XIX-XX სს).
**გრებენი** - კონცხი ვაიგაჩის კუნძულზე (არხანგელსკის ოლქი, რუსეთი).
**გრებენკა** ევგენი - უკრაინელი მწერალი (XIX ს)
**გრებენშჩიკოვი** გიორგი - რუსი მწერალი (XX საუკუნე).
**გრებიონკა** - დაბა უკრაინის პოლტავის ოლქში.
**გრებიონკი** - დაბა უკრაინის კიევის ოლქში.
**გრებნევი** ნაუმ - რუსი პოეტი და აღმოსავლური პოეზიის მთარგმნელი (XX საუკუნე).
**გრებნერი** ფრიც - გერმანელი ეთნოგრაფი (XIX-XX სს).
**გრეგარინები** - უმარტივესი ცხოველების რიგი სპორიანების კლასისა.
**გრეგი** ფერნან - ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი (XX საუკუნე).
**გრეგორი** 1) იზაბელა ოგასტა (ქალიშვილობაში - პერსი) - ირლანდიელი დრამატურგი ქალი (XIX-XX სს). 2) ოგასტეს - ინგლისელი ტოპოგრაფი, ავსტრალიის მკვლევარი (XIX-XX სს). 3) ჯეიმზ - შოტლანდიელი მათემატიკოსი და ასტრონომი (XVIII საუკუნე).
**გრეგოტი** ვიტორიო - იტალიელი არქიტექტორი (XX საუკუნე).
**გრეგრი** ედვარდ - ჩეხიის პოლიტ. მოღვაწე, პუბლიცისტი (XX საუკუნე).
**გრეგუარი** ანრი - საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, მღვდელი (XVIII-XIX სს).
**გრედიშტია-მუნჩელულუი** - მთა რუმინეთის ორეშტიეს მთებში.
**გრეემ-ბელი** - კუნძ. ფრანც-იოსების მიწა (არხანგელსკის ოლქი, რუსეთი).
**გრევენი** ჟან - ფრანგი მწერალი (XVI ს).
**გრევი** ჟიულ - საფრანგეთის პრეზიდენტი 1879-87 წლებში.
**გრეზი** ჟან-ბატისტ - ფრანგი ფერმწერი (XVIII-XIX სს).
**გრეთჰენი** - 1) ი.ვ. გოეთეს „ფაუსტის“ პერსონაჟი ქალი.
**გრეი** 1) ალასდერ - შოტლანდიელი მწერალი (XX საუკუნე). 2) ედუარდ - ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე (XIX-XX სს). 3) თომას - ინგლისელი პოეტი (XVIII საუკუნე). 4) ჯონ - ინგლისელი ეკონომისტი და სოციალისტი (XIX საუკუნე). 4) ჯორჯ - ინგლისელი ოფიცერი, ავსტრალიის მკვლევარი (XIX საუკუნე).
**გრეიამის** მიწა - ანტარქტიკის ნახევარკუნძულის ძველი სახელი.
**გრეივზი** რობერტ - ინგლისელი პოეტი და კრიტიკოსი (XX საუკუნე).
**გრეიდერი** - მიწის სათხრელი ბორბლებიანი მისაბმელი მანქანა.
**გრეიდერისტი** - გრეიდერზე მომუშავე.
**გრეინჯერები** - ფერმერული მოძრაობის მონაწილენი აშშ-ში XIX სს 60-70-იან წლებში.
**გრეიპფრუტი** - ციტრუსოვანი ხეხილი.
**გრეიტ-გრიმზბი** - იხილე *გრიმზბი*.
**გრეიტ-ველი** - იხილე *დიდი ველი*.
**გრეიტ-იარმუთი** (იარმუთი) - ქალაქი ბრიტანეთის ნორფოკის საგრაფოში.
**გრეიტ-ფოლზი** - ქალაქი აშშ-ს მონტანის შტატში.
**გრეიჰაუნდი** - მწევარი ძაღლების უძველესი ინგლისური ჯიში.
**გრეკო** - იხილე *ელ გრეკო*.
**გრეკო** ემილიო - იტალიელი მოქანდაკე.
**გრეკოვა ი.** (ელენე ვენტცელი) - რუსი მწერალი ქალი (XX საუკუნე).
**გრემი** - სოფელი ყვარლის რაიონში.
**გრემი** 1) მარტა - ამერიკელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ქალი (XX საუკუნე). 2) შერლი - ამერიკელი ზანგი მწერალი ქალი, საზ. მოღვაწე (XX საუკუნე).
**გრემიაჩევო** - დაბა რუსეთის ნიჟეგოროდის ოლქში.
**გრემიაჩინსკი** - ქალაქი რუსეთის პერმის ოლქში.
**გრემიიონი** ჟან - ფრანგი კინორეჟისორი (XX საუკუნე).
**გრემისხევი** - სოფელი დუშეთის რაიონში.
**გრემიხა** - დაბა რუსეთის მურმანსკის ოლქში.
**გრენა** - აბრეშუმის ჭიის თესლი.
**გრენადა** - კუნძულოვანი სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში.
**გრენადერი** - რჩეული ჯარისკაცი, რომელიც გაწვრთნილი იყო ხელის გრანატის ტყორცნაში.
**გრენადილი** - *პასიფლორას* ზოგი ტროპიკული სახეობის ნაყოფი, მოწითალო კენკრა.

## ილუსტრირებული კროსვორდი



1. (თ) უდაბნოს ცხელი ქარი. 1. (შვ.) **ფოტო №1** - სამკაული. 2. ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის წარმომადგენელი. 3. ჩრდ. კავკასიური ავტონომია. 4. სახელი და გვარი 60-იან წწ ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელისა. 5. გემის ინვენტარი. 6. ფუძეზე დართული ნაწილი სიტყვისა. 7. ასეთი ნოვგოროდიც არსებობს. 8. „ციხე“ ქართულ ტოპონიმებში. 9. ასე ვთქვათ, „ებრაული იდეოლოგია“. 10. **ფოტო №4** - სამკაული. 11. (ჩაიხედეთ ენციკლოპედიაში) XX საუკუნის ლატვიელი მწერალი. 12. ვინ იყო ჰიტლერი საბჭოთა კავშირის მიმართ? 13. ძველსომხური ქალაქი. 14. **ფოტო №2** - ფონის ატრიბუტი. 15. **ფოტო №3** - რა იმალება? 16. ვენახს ჭამს... საუკუნეების განმავლობაში. 17. ცნობილი თანამედროვე იტალიელი საფეხბურთო მსაჯი. 18. ერთ-ერთი ჩრდილოკავკასიელი. 19. ჩრდილი ანუ რა? 20. ქართველი მწერალი (......) დგებუაძე. 21. 60-70-იანი წლების საბჭოელი ფეხბურთელი, სსრკ ნაკრების წევრი. 22. მკვახე ყურძენი. 23. რუსი მღვდელი, ოხრანკის აგენტი, 1906 წელს ჩამოახრჩეს აჯანყებულმა მუშებმა. 24. რუსული მაცივრების მარკა. 25. ჩრდილოდასავლეთ საფრანგეთის, ახლანდელი ბრეტანის, კელტური სახელწოდება.



1



2



3



4

### ამავე ნომრის კროს-რეიტინგის პასუხები

1. აკაკი. 2. კრასნოდარი. 3. კარლსონი. 4. გერცენი. 5. ესტატე. 6. ნაშა. 7. ხაიფა. 8. გობეჯიშვილი. 9. მანაგუა. 10. ანაკრეონტი. 11. იშტა. 12. ალმასტი. 13. ფანასკერტელი. 14. ადეკვატური. 15. ადენტია. 16. ლანდაუ. 17. სანტოსი. 18. ნირვანა. 19. აბრუ. 20. ევრისტიკა. 21. საირმე. 22. მუსიე. 23. საკლავი. 24. ბათუ. 25. აღჯა. 26. გიგო. 27. საღარა. 28. ინტიმური. 29. ფაზენდა. 30. გონიო.

**შეიძენთ კომპიუტერის ნახმარ, მუშა მდგომარეობაში მყოფ მონიტორს**

ინდივიდუალური საწარმო
„ნატალია ბერიკიშვილი“ (ფანტაზია-2000)
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს
რაიონის სასამართლოს მიერ № 5/1-2304
ტელეფონები: 79-53-70, 76-68-02, (877) 45-19-80
გამოდის ალექსანდრე და ვახტანგ
ელერდაშვილების რედაქტორობით

# გასული ნომრის პასუხები

### 1-ლი გვერდი

*თარაზულად*: 1. არგენტინული. 8. შალახო. 9. რაინდი. 11. იუდა. 12. სერენადა. 14. პოლკა. 15. ეტლი. 18. ტრიო. 19. საარი. 22. არნშტამი. 24. ანდრიაძე. 25. კარტოზია. 26. ლატი. 27. იხვი. 29. შვილობილი. 32. ვარლეი. 33. ბურღვა. 35. ლესი. 36. სიმდაბლე. 38. ირიგაცია. 39. ალენ. 41. კუდიანები. 43. იონა. 44. ფიგარო. 46. წუმპე. 47. ლუდი. 49. გორლოვკა. 51. ქაოსი. 53. ბიურგერი. 54. დიტრიხი.

*შვეულად*: 2. რულადა. 3. ეშხი. 4. ნიამეი. 5. ლანკასტერი. 6. იშვიათი. 7. პირანია. 10. შეიკი. 13. ფოჩიანი. 16. ოტია. 17. ჰაიმორიტი. 20. სტანდარტული. 21. ფედერაცია. 23. თავზეხელაღებული. 26. ლივრეა. 28. აბსურდი. 30. პროსტიტუცია. 31. პალეონტოლოგია. 32. ვალსი. 34. მილიონი. 37. მარიენბურგი. 40. აბრია. 42. მაზურკა. 45. სპარტაკიადა. 48. ფოქსტროტი. 50. ჭიჭიკია. 52. ბებია.

### მე-3 გვერდი

*თარაზულად*: 1. მაია. 3. ჩაიკოვსკი. 7. ბომონდი. 10. მთვარე. 16. დეტროიტი. 17. კლასიკა. 18. კორდებალეტი. 22. ნორა. 23. ორგია. 24. ინგლისური. 25. ლუი. 26. ტრიო. 31. მედეა. 32. ლატავრა. 33. კაი. 34. ალისია. 40. ალისა. 41. ანტელი. 42. ფარიკაობა. 43. ოპერა. 47. პრიმა. 48. კრიტიკა. 49. ჩიმაბუე. 50. შივა. 55. ირმა. 56. ნინო. 57. გლობუსი. 59. ბახჩისარაი. 63. კრონენბერგი. 64. კლერიკალი. 66. ენა. 71. მაკაროვა. 72. პირუეტი. 73. ტბა. 74. გუანაკო. 79. დალაქი. 80. ბროდვეი. 81. შადრევანი. 82. მილა. 85. იტალია. 86. სინათლე. 87. მანიპური.

*შვეულად*: 1. მადონა. 2. ინტერმედია. 4. ავტორი. 5. ველი. 6. კოსტნერი. 8. ონოფრე. 9. დიდი. 11. თელა. 12. ასტერი. 13. შოუ. 14. სკოლა. 15. აბდული. 19. ტიბალტი. 20. ასპასია. 21. გორდა. 27. ბედაური. 28. დავლური. 29. ბარბრა. 30. ლიეპა. 35. გაბუნია. 36. რახმანინოვი. 37. მარკ. 38. მარია. 39. არბიტრი. 44. ოტელო. 45. პუტჩი. 46. სახიობა. 51. ამერიკელი. 52. ანტეი. 53. ოსური. 54. ესენინი. 58. ბალეტი. 60. არლი. 61. ანტრაქტი. 62. აგრილდა. 65. კაბარე. 67. ამედეო. 68. მუცელი. 69. პუანტი. 70. სკვითი. 75. არყი. 76. შარლ. 77. თვლა. 78. ლადო. 83. ჩა. 84. პა.

### მე-4 გვერდი (მალულა)

1. სინჯარა. 2. იული. 3. ჯანი როდარი. 4. საგრაფო. 5. აგერ. 6. როდერტ დე ნირო. 7. ფერუმარილი. 8. აკინაკი. 9. ჯეინი. 10. ლიტანია. 11. კულანი. 12. პეტერბურგი. 13. ბუქნი. 14. დრიუონი. 15. პრემია. 16. აბეზარა. 17. გარდანქეშანი. 18. კაბადონი. 19. ჟანდარმი. 20. ფასანაური. 21. მზერა. 22. დარდანელი. 23. მხურვალე. 24. ლილეო. 25. მარებელი. 26. ხარო. 27. დიზაინერი. 28. მაჩეტე. 29. გუთანი. 30. ვანესა მეი. 31. დუჩე. 32. მოსე. 33. ლოქო. 34. აპოგეა. 35. ირმა სოხაძე. 36. ევერესტი. 37. ჩიგორინი.

### მე-5 გვერდი

1. ბაკალავრი. 2. საკენკი. 3. ხვადი. 4. ყუა. 5. დუტუ მეგრელი. 6. რეპეტიცია. 7. სტიმული. 8. ყარაევი. 9. ბუკურეშტი. 10. პროტესტანტი. 11. კალენდარი. 12. მუზეუმი. 13. გამხარებელი. 14. კალკი. 15. სტრატეგიული. 16. ჩასაფრებული. 17. ყრუ. 18. გამსახურდია. 19. კაპოშვარი. 20. ატამანი. 21. გადასაყრელი. 22. რტო. 23. პედანტი. 24. სამსუნი. 25. დემოკრატობა. 26. პარმა. 27. გვადი. 28. საქვაბე. 29. კლავესინი. 30. წრე. 31. სტერილური. 32. ქდანოვი.

1. სამეგრელო. 2. ანდიევი. 3. ქვიჯა. 4. შიო. 5. ბურგუნდიული. 6. კასატკინა. 7. პირიევა. 8. ბარნოვი. 9. სიმულაცია. 10. არტაქსერქსე. 11. ბესინჯერი. 12. აგრაფია. 13. რაციონალური. 14. ხროვა. 15. კალაშნიკოვი. 16. დეშიფრატორი. 17. ელო. 18. შექსპირიანა. 19. სიმბირსკი. 20. კორტასარი. 21. ფილიგრანული. 22. როუ. 23. კალაური. 24. პუშკაში. 25. ბარბაროსული. 26. პუშტუ. 27. ოტული. 28. ბაგრატი. 29. კრიტიკოსი. 30. სრა. 31. პროკურორი. 32. ალაშარა.

### მე-7 გვერდი

*თარაზულად*: 1. საპორო. 4. სპილბერგი. 8. ბაობაბი. 14. მარკიტანტი. 15. შინიონი. 16. ამასია. 19. მატენადარანი. 20. დიუნანი. 21. ფიდე. 24. ანილინი. 25. ეკიპაჟი. 26. ბურატინო. 30. ვეტო. 31. ალკატრასი. 32. ტალანტი. 36. სამსალა. 37. სმეტანინა. 38. ენა. 43. ანანდი. 44. წვერა. 45. კრეტა. 46. ვენერა. 50. დურემარი. 51. ანტონიო. 52. გასკონია. 55. ინტრიგანი. 56. როზმარინი. 57. ეტლი. 61. ანანიაშვილი. 62. ნევროზი. 66. იზეო. 67. უმადური. 68. გაუსი. 69. ქმარი. 74. კურსანტი. 75. ალცესტე. 76. ბისტრიცა. 79. ტიბერიუსი. 80. ჩერნობილი. 81. ამტი. 85. ნავარა. 86. სპრაიტი. 87. თეორემა. 91. ესკულაპი. 92. მითრიდატე. 93. ეგიდა. 97. კრაისლერი. 98. ბურვილი. 99. ინტი. 103. ლირა. 104. სტარი. 105. ბაიტი. 106. ავტობუსი. 110. ლატავრა. 111. მეხამრიდი. 112. მაუგლი. 116. კანაპე. 117. კარსანი. 118. თეკერეი. 122. კლივლენდი. 123. ბურგომისტრი. 127. სიმფონია. 128. ესენინი. 129. ანდამატი. 130. მერიდიანი. 131. ფორინტი. 132. ფაზისი.

*შვეულად*: 1. სამუმი. 2. პერიტონიტი. 3. რაიონული. 5. პოტერი. 6. ელია. 7. გრილიაჟი. 9. ბიმი. 10. ბასტილია. 11. მაკდონალდსი. 12. ანანი. 13. კალედონია. 17. სნუკერი. 18. ინდურაინი. 22. ოპოსუმი. 23. სანტი. 27. ავანგარდი. 28. პავლოვი. 29. მაგნიტი. 33. გარდემარინი. 34. იტერბიუმი. 35. ინტერნეტი. 39. კატრანი. 40. გრინი. 41. ბენკო. 42. ზაქარიაძე. 47. ტრიგონომეტრია. 48. სოფოკლე. 49. ვაგნერი. 53. ინსაიდი. 54. ორფეოსი. 58. ტაპიოკა. 59. ყვირილა. 60. აზიმუტი. 63. გეორგიევსკი. 64. კანტონი. 65. ორფიზმი. 70. კათედრალური. 71. დეზერტირი. 72. მიულერი. 73. მანიოკა. 77. უსუპი. 78. ობიექტივი. 82. ინტეგრალი. 83. კალიბრი. 84. ომეგა. 88. სპრინტერი. 89. ადიულტერი. 90. ედინბურგი. 94. კლარა. 95. ფლავი. 96. მილიციელი. 100. არიადნე. 101. ფარაონი. 102. კოვალევსკაია. 107. შამპოლიონი. 108. მერსედესი. 109. ელბერგი. 113. იკარუსი. 114. ჰალეი. 115. გერმანი. 119. ივლისი. 120. კუინჯი. 121. თრიაქი. 124. იმრე. 125. ინრო. 126. პიტი.

### მე-8 გვერდი

*თარაზულად:* 1. მაკაკა. 4. ქარბუქი. 7. ალმასტი. 13. ცილინდრი. 14. ინტერნეტი. 15. ცირა. 18. ლენდროვერი. 19. კონკისტადორი. 21. კაკაო. 22. სტოკჰოლმი. 23. ინგირი. 27. ფსონი. 28. კენტი. 29. ჰანზა. 34. იზეო. 35. ალცესტე. 36. ტრიგორინი. 40. ადონაი. 41. ბლოკჰაუზი. 42. კვართი. 45. ბერნსტაინი. 46. გრანელი. 47. ეშვი. 50. სტომატოლოგი. 51. კანკანი.55. ასტრა. 56. იაპონია. 57. მეგრე. 62. ნერუ. 63. ალგორითმი. 64. ფორსაიტი. 67. ჩიზბურგერი. 68. ინსაიდი. 69. ივრი. 72. ანჯეი. 73. კნაჭა. 74. ესენინი. 79. პეშვი. 80. პრაია. 81. დანაიდა. 86. ფსიქიატრია. 87. კატალიზატორი. 89. ნეოგეა. 90. ჩარლსტონი. 91. ბოკაჩო. 92. ფიდიასი. 93. დახაუ. 94. ბაზილიკა.

*შვეულად*. 1. მუცალი. 2. კოლონტაი. 3. კონტრდანსი. 5. ბონი. 6. ქსენოფონტე. 8. ლოტოსი. 9. ტრილოგია. 10. ტრევი. 11. უნიკუმი. 12. ბასილისკო. 16. კრეტა. 17. შაჰნაზაროვი. 20. ეკლექტიკა. 24. დითირამბი. 25. ბნელი. 26. ტანგო. 30. დემოკრატი. 31. ბერლინელი. 32. პრეზენტაცია. 33. ანტრაშა. 37. მაქსიმუსი. 38. გაყრა. 39. ხიმინჯი. 43. მარტიროლოგი. 44. ალეკო. 48. აგრაფია. 49. ანთეოსი. 52. ვოინიჩი. 53. ფორმანი. 54. კრაიოვა. 58. კრაზანა. 59. გობრონი. 60. კონდენსაცია. 61. ლითიუმი. 65. სუვერენიტეტი. 66. მარსო. 70. აჭარა. 71. ინკასატორი. 75. ტაიფუნი. 76. ევიტა. 77. ბიზანტია. 78. ადვოკატი. 82. გიქორი. 83. ბისაუ. 84. ფაუნა. 85. ლიმონა. 88. ელბა.















| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 2 | მ | 4 | ღ | 3 |
| ბ | 17 | ნ | 1 | ყ | 7 |
| გ | 30 | ო | 15 | შ | 9 |
| დ | 31 | პ | 23 | ჩ | 10 |
| ე | 22 | ჟ | 32 | ც | 12 |
| ვ | 26 | რ | 27 | ძ | 14 |
| ზ | 20 | ს | 21 | წ | 18 |
| თ | 33 | ტ | 28 | ჭ | 16 |
| ი | 5 | უ | 25 | ხ | 13 |
| კ | 19 | ფ | 24 | ჯ | 11 |
| ლ | 29 | ქ | 8 | ჰ | 6 |



imis gamo, rom Zalzed cotamkiTxvelma dareka 10 kiTxvis konkurss aRar vagrZelebT. pasuxebi aseTia:

1. moris raveli. 2. gliuki. 3. 1968 wels. 4. glxatuni. 5. oleg tabakovi. 6. malboro da vinstoni. 7. apaSi. 8. ambako WeliZe. 9. avlabarSi. 10. merilinmonros rolSi.

# ფანტაზია

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 30 აგვისტოს და მიეძღვნება ზღვას




ჩვენს ზუგდიდელ მკითხველს დათო ესართიას ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ დიდ ბედნიერებას

პატივისცემით თქვენი ფანტაზ-ია

ამაგდარი დეიდა დაბადების დღეს, 24 აგვისტოს ულოცავს ვოვა შინჯიკაშვილს და უსურვებს ლამაზ ცხოვრებას და ყოველივე კარგს ამქვეყნად!

## განცხადება

ჩვენი რედაქციის თანამშრომელი, მრავალი წლის ლიტერატურული მოღვაწეობის სტაჟის მქონე, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება შეღავათიან ფასად დაუწერს თქვენს შვილებს თემატურ თხზულებას საკონტროლო წერისათვის სათაურით - „როგორ გავატარე ზაფხულის არდადეგები“. გთხოვთ უზრუნველყოთ ჩვენი თანამშრომლის ორმხრივი მგზავრობა იმ ადგილებში, სადაც თქვენი შვილი ისვენებდა, გარემოს სათანადოდ შესასწავლად

სამშაბათის გამოშვებაში 20 აგვისტოს



საწერი
მოსკოვი, მალაზია
კესო
დინ.თბ. გრიგორი...
მდელო
ესპანეთი
(......) უაილდერი
გონებაჩლუნგი
თევზსაჭერი მოწყობილობა
გერმანიის მდინარე / ურცხვი
ყველა თითი
თოფს აქვს / (......)სამარასი
ოკეანეთის ქვეყანა
(.....) ბერიმორი / ან თურქეთშია
ძვ.აღმოსავლ. საკრავი
ადისჩადის №7 / იშვიათი
ალაზას ძმა
ალფრედ დე.....
პაუზა
ფანასკერტელი
იგავი / აფხაზეთშია
ბევრი მტირალა ხე
სოფელი
(......) შელია / ბალახი
არსაკიძე / კენტი
ხელყუმბარა (რუს.)
შვეიცარიის მდინარე
ენერგია
იაპონელი მეომარი
პატარა არია / ქიმ.ჭურჭელი
აგულის ცლი
თაბუკაშვილი
იტალიის მდინარე
ფინიში

მშვენიერი ესტელა უორენი

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 20 | 30 | 3 | 5 | 9 | 3 | 4 | 33 | 15 | ■ |
| 14 | ■ | 2 | ■ | ■ | ■ | 4 | ■ | 15 | ■ | 17 |
| 1 | 2 | 3 | 4 | ■ | 4 | 19 | 4 | 13 | 5 | 11 |
| 4 | ■ | 15 | ■ | 21 | ■ | 4 | ■ | 5 | ■ | 33 |
| ■ | 5 | 9 | 12 | 5 | 4 | ■ | 4 | 20 | 22 | 15 |
| 16 | ■ | 5 | ■ | 13 | ■ | 4 | ■ | 5 | ■ | 11 |
| 4 | ■ | ■ | 23 | 31 | 6 | 24 | 5 | ■ | ■ | 21 |
| 33 | ■ | 26 | ■ | 4 | ■ | 29 | ■ | 20 | ■ | 33 |
| 7 | 4 | 6 | 4 | ■ | 17 | 31 | 20 | 15 | 6 | 4 |
| 4 | ■ | 5 | ■ | 15 | ■ | 4 | ■ | 32 | ■ | 24 |
| ■ | 17 | 29 | 15 | 6 | 5 | ■ | 25 | 4 | 14 | 5 |
| 16 | ■ | 15 | ■ | 15 | ■ | 29 | ■ | 24 | ■ | 4 |
| 4 | ■ | ■ | 4 | 20 | 14 | 5 | 28 | 5 | 4 | ■ |
| 33 | ■ | 15 | ■ | 15 | ■ | 33 | ■ | 1 | ■ | 18 |
| 8 | 11 | 32 | 15 | 9 | 11 | 27 | 8 | 5 | 9 | 5 |
| 5 | ■ | 6 | ■ | 32 | ■ | 4 | ■ | 8 | ■ | 16 |
| ■ | 29 | 5 | 33 | 5 | 4 | ■ | 10 | 4 | 3 | 4 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა 4 | ბ | გ | დ | ე | ვ 3 | ზ 1 | თ | ი | კ | ლ |
| მ | ნ | ო | პ | ჟ | რ | ს | ტ | უ | ფ | ქ |
| ღ 2 | ყ | შ | ჩ | ც | ძ | წ | ჭ | ხ | ჯ | ჰ |